

K268.180  
3

ყოველი საბრძოლო

# კლეპსანგლე



И.Т.

გამოცემული  
ხ. ჭიჭინაძესა გან

ტფილი

მსწრაფლ-მშემდავი ა. ქუთათელაძისა, ნიკ. ქ., № 21.  
1903

გურია-სამეცნიერო ეპიცოოსი

ყოველ სამეცნიერო


კ ლ ი ლ ი კ ს ა ს ა ნ დ რ ე

ბიოგრაფიული და სხვა წერილები

—·—·—·—·—

გამოცემული

ჭ. ჭიჭიათაძე



ტყილისი

მსტრაფლ-მშეცდივი ორ. ქუთათელაძისი, ნიკ. ქ., № 21.

1903

ОГЛАШЕНО В АМЕРИКАНСКОМ ГОСУДАРСТВЕ

Д 2686936 96200

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го Сентября 1903 года.

15268.180  
3

6 5 5 6 7 0 3 0 3 6  
3 5 6 3 7 1 3 6 0 6  
8 6 3 3 6 7 0 0 6  
3 0 3 3 0 3 0 3 6



გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე.

## პლეკსანდრე ეპისკოპოსი

(გამოსათხვარი სატევისებური)

„კაცი ის არის, ვინც არის  
ზეგარდმო მადლით ცხებული,  
მის მხალოდ ღვაწლი არს კეთილ,  
მით მხარე და შვენებული“.

გრ. ორბელიანი.

წუთი-სოფლის ცხოვრება ჯოჯოხეთური სატანჯველის  
შეგავსი იქნებოდა, რომ დედამიწას განგების მიერ არ ევლი-  
ნებოდეს „ზეგარდმო მადლით ცხებული გვამები“, რომელთა  
სიტყვა, საქმე და ღვაწლი ამხნევებს ჩაგრულსა და წამებულს  
დღიურ ცხოვრების ვარმით. უკეთუ კაცობრიობას ასეთი გვა-  
მები არ ევლინებოდეს, მისი ცხოვრება პირველ-ყოფილს  
მდგომარეობაში იქნებოდა, წინ ვერასოდეს წაიწევდა და ვერც  
მიაღწევდა იმ თვალ-საჩინო წარმატებას, რომლითაც დღეს  
შემკულია ეს ცხოვრება. ეს გვამები არიან „მარილი ამა სოფ-  
ლის“, რომელნიც თვისის მაღლით მოსილის ღვაწლით ჰქმნიან  
ხალხოსნობის ისტორიას და მით უკვდავ ჰყოფენ თვისს სა-  
ხელს კაცობრიობის მოგონებაში. საუკეთესო ღირსებანი მთე-  
ლის კაცობრიობისა, მისი კეთილ-შობილური სულის კვეთე-  
ბა, მისი მხურვალე აღმაფრენა, მისი უწმიდესი იდეალები სავ-  
სებით თავს მოიყრიან, გამოითქმიან და გამოიხატებიან „ზე-  
გარდმო მაღლით ცხებულის“ გვამების არსებაში და ამისთვის  
ეს უკანასკნელნი ხდებიან კაცობრიობის გზის მაჩვენებელ  
ვარსკვლავად...

მრავალ-წამებული საქართველო იმ თავითვე არ იყო მო-  
კლებული ასეთს ღიღ-ბუნებოვანს გვამებს, რომელნიც თამა-

მაღ და გაჩედულად საშინელს ისტორიულს ქარ-ცეცხლს და  
 ლელვათა შორის ატარებდნენ და იცავდნენ დროშას მართლ-  
 მადიდებლობითის სარწმუნოებისას და მასთან დაკავშირებუ-  
 ლის ეროვნობისას, ამ ორი საუნჯისას, რომლის უზრუნველ-  
 საყოფელად მუჭის ტოლა საქართველო მთელს აზიას ეომე-  
 ბოდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში... უკეთუ საქართვე-  
 ლომ დღემდის თვისი ლვიძლი მშობლიური ენა და მართლ-  
 მადიდებლობითი სჯული დაიცვა, უკეთუ დღეს ქართველი  
 ქართველობს და ერთა შორის ერად ირიცხება,—ეს შედეგია  
 ამ გვამთა მოღვაწეობისა, მათის ლვთის წინაშე მეოხებისა, მათის  
 საღმრთო მატლისა... საქართველოს სასულიერო წოდება ძველად  
 მეთაური იყო ქართველთა ცხოვრების, იმ შავსა და ბნელს საუკუ-  
 ნოებში, როდესაც ბევრმა ქართველმა მეფემ ულალატა თავისს  
 სჯულს და მიიღო მაჰმადიანობა, ესე იგი მეთექვსმეტე, მე-  
 ჩვიდმეტე, და მეთვრამეტე საუკუნოებში, საქართველოს სა-  
 სულიერო წოდება იყო ერთად-ერთი მფარველი, ერთად ერ-  
 თი ნუგეშის მცემელი ქართველის ერისა. ის თავ-გამეტებით  
 ეომებოდა, სიტყვით და საქმით ებრძოდა ერის სარწმუნოე-  
 ბითს და ზნეობითს დაცემას, ამხილებდა სჯულის მოღალატე  
 მეფეებს და იცავდა ყოველსავე იმას, რაც ხალხისთვის „წმი-  
 დათა წმიდას“ შეადგენდა. რაც აძლევდა მის ისტორიულს არ-  
 სებობას სიმტკიცე-სიძლიერეს მრავალს ძნელს და საშიშ გა-  
 რემოებათა შორის. ბედნიერი იყო ძველი საქართველო თვი-  
 სის სასულიერო წოდებით, რომელიც ნამდვილს მამობას და  
 მოძლვრობას უწევდა თავისს სამწყსოს. გავიხსენოთ თუნდ ქა-  
 თალიკოსი ევდემოსი, გვამი ფრიად განათლებული, რომელიც  
 ჰქიცხავდა გამაჭმადიანებულს როსტომ მეფეს (XVII საუკ.); მე-  
 ფემ იგი მაღალის ციხიდან მტკვარში ჩაგდებინა; აგრეთვე,  
 ქათალიკოზი ნიკოლოზი, რომელიც გამაპეადიანებულმა.  
 ერეკლე პირველმა გადააყენა მხილებისა და ხალხის მოსარჩ-  
 ლეობის გამო. გავიხსენოთ აგრეთვე ქათალიკოზი დომენტი  
 მესამე და ეპისკოპოსი იოანნე მანგლელი, რომელნიც მეთვრა-  
 მეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართლში ისმალთ

მეოხებით გამეფდა იყსე, ძმა ვახტანგ მეექვსისა გამაჰმალიანებული, იერემიასებურის გოდებით თავს დასტიროდნენ საქართველოს შავ-ბნელს ხვედრს, ამხილებდნენ მეფის სიწამხდრეს, ანუგეშებდნენ შავბედისაგან ქუდ-მოხხრილს და სისხლის ცრებლით მტირალს ხალხს!!.. იგივე სასულიერო წოდება სათავეში უდგა სახალხო განათლებას. რომელსაც სდებდა საეკკლესიო ელფერსა, ავრცელებდა საეკკლესიო და სასულიერო შინაარსის წიგნებს, რომელთ მეოხებით გამტკიცდებოდა ხალხში სარწმუნოება და ზნეობა. რომელი ერთი საგულისხმიურო მაგალითი გავიხსენოთ, რომელი ერთი შესანიშნავი თვისის ღვაწლით ქართველი მღვდელ-მთავარი გავითვალისწინოთ?! საღმრთო განგებულებამ ამ საუკუნეშიაც მოუვლინა ქართველობას რამდენიმე შესანიშნავი თვისის ცოდნით და ღვაწლით ქართველი მღვდელ-მთავარი, რომელთ სახელები უნდა შთაწერილ იქმნენ ძველის ქართველის მღვდელ-მთავარების უკვდავს სიაში... ამ მღვდელ-მთავართა რიცხს ეკუთვნის ყოვლად-სამღვდელო მხცოვანი მღვდელ-მთავარი ალექსანდრე, რომელიც ოცდა თექვსმეტი წელიწადი მსახურებს მღვდელ-მთავრად. ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე დაიბადა 1824 წელს. მას ნათლობაში სახელად ალექსი დაარქვეს. იმისი მამა დავით ოქროპირიძე მღვდლად მსახურებდა გორის მაზრის ერთს სოფელში. ტფილისის სემინარიაში კურსის დამთავრების შემდეგ ალექსი ოქროპირიძე აღიკვეცა ბერად, და სახელად ალექსანდრე უწოდეს. მთავარ-დიაკონის ხარისხით ის გაემგზავრა ყაზანის სასულიერო აკადემიაში სწავლის დასამთავრებლად. სასულიერო აკადემიაში კურსის დამთავრების შემდეგ მთავარ-დიაკონი ალექსანდრე მღვდელ-მონიზნად კურთხებულ იქმნა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ახალ გარზდა მღვდელ მონაზონიჯერ აფხაზეთში და შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად იქმნა დანიშნული. 1855 წელს აკურთხეს ილუმენად,—მალე არქიმანდრიტადაც და ისევ აფხაზეთში იქმნა გაგზავნილი. 1862 წელს ხელ-დასხმულ იქმნა მღვდელ-მთავრად. მას ჩაბარდა აფხაზეთის კათედ-

რა. 1869 წელს გადმოყვანილ იქმნა ტფილისში გორის ეპი-  
 სკოპისად და საქართველოს ექსარხოსის პირველს ქორ-  
 ეპისკოპოსად, 1882 წლიდამ 1886 წლამდის მართავდა გუ-  
 რის ეპარქიას და შემდეგ ისევ დაბრუნდა ტფილისს თვისსვე  
 თანამდებობაზედ. ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ხშირად  
 საქართველოს ექსარხოსის მაგივრობასაც სწევდა. როდესაც  
 ექსარხოსები დროებით რუსეთს წაბრძანდებოდნენ, ქართლ-  
 კახეთის ეპარქიას ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე განაგებდა;  
 იგივე თავმჯდომარეობდა ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურს  
 კანტორაში. უმაღლესი მთავრობა დიდად აფასებდა ყოვლად-  
 სამღვდელოს მოღვაწეობას, მას აქვს მიღებული მრავალი ორ-  
 დენი. 15 მაისს 1893 წელს უმაღლესად ებობა მას ხელმწი-  
 ფე იმპერატორისაგან ძვირფასის თვალ-მარგალიტით შემკული  
 „გულზედ დასაკიდი ჯვარი“ (პანაგია) ერთად უმაღლესს  
 „წეალთბის წერილთან“ („რესკრიპტი“). ყოვლად-სამღვდელო  
 ალექსანდრეს მრავალ გზის მაღლობა აქვს მიღებული ხელმწი-  
 ფე იმპერატორისა, მისის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ  
 ნიკოლოზის ძისა, ლოცვა-კურთხევა და მაღლობა უწმიდე-  
 სის სინოდისა და სხ... ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე  
 წევრია მრავალთ საქველ-მოქმედო საზოგადოებათა და დაწე-  
 სებულებათა, რომელნიც კი რუსეთის სახელმწიფოში არსე-  
 ბობენ, რუს-ოსმალეთის ყირიმის ომის დროს სევასტოპოლის  
 გმირთა და მათ დაობლებულ სახლობათა სასარგებლოდ ყოვ-  
 ლად-სამღვდელო ალექსანდრე სწირავდა ყოველ წლობით  
 200 მანეთს. მანვე განაახლა ქ. სოხუმის ახლოს ძველი ეკკლე-  
 სია მოსახსენებლად იმპერატორის ალექსანდრე მეორის სას-  
 წაულებრივის გადარჩენისა 4 აპრილს 1866 წელსა. 25 მაისს  
 1867 წელს ტფილისის სასულიერო სემინარიას შესწირა 2,000  
 მანათი მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავ-  
 რის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ. ამ თანხით იზრ-  
 დება სემინარიაში ერთი სტიპენდიატი, რომელსაც თვით ყოვ-  
 ლად სამღვდელო ირჩევს. ყაზანის სასულიერო აკადემიის ღა-  
 რიბი სტუდენტების სასარგებლოდ 300 მანათი შესწირა; ტფი-

ლისის საეპარქიო დედათა სასწავლებელს კი—3,000 მანათი მასში სტიპენდიების დასაარსებლად. მცხეთის დიდებულს თორმეტის მოციქულის საკრებულო ტაძარს შესწირა განსაახლებლად 1,500 მანეთი და ამავე ტაძრის განმაახლებელი კომიტეტის თავმჯდომარეც ბრძანდებოდა აქამომდე. ყოვლად-სამლოდელო ალექსანდრემ გაანახლა ჯვარის ეკკლესია მცხეთის აღმოსავლით, განაახლა თვისს სამშობლო სოფელში ძველი ეკკლესია, ლეკებისაგან დანგრეული. მან 2,000 მანეთი ქართული საეკკლესიო გალობის ნოტებზე გადასაღებად გადასდო. წირვა ლოცვის გალობა კიდეც გადაღებულ იქმნა ნოტებზე ბ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ და მოწონებულ იქმნა სასულიერო მთავრობისაგან. მანვე გამოსცა თვის საფასით საუკეთესო ნაშთები ძველის ქართულის მწერლობისა: „მზამეტყველება“ ანტონ ქათოლიკოზისა“, საბა-სულხან ორბელიანის „ლექსიკონი“, „ხმა ცოდვილისა ღთისაღმი“, ბ. ავალიშვილისა, ანტონ ქათოლიკოზის „სწორ-მეტყველება“, ამბროსი ნეკრესლის „სიტყვანი და მოძღვრებანი“ და სხვ... ყოვლად სამლოდელომ დიდი სამსახური გაუწია ქართულის დაბადების შესწორების და დაბეჭდვის საქმეს. ყოვლად-სამლოდელო ალექსანდრემ განაახლა დიდებული მონასტირები, წმ. შიოსი და იოანნე ზედაძნელისა, — პირველს 21,000 და მეორეს—11,700 მანათი შესწირა. ეს თანხა ხელ-უხლებლად დადებულია სახელმწიფო ბანკში და სარგებელი ეძლევა მონასტერთა საჭიროებას.

ოცდა-თექვსმეტი წელიწადი გამუდმებულის ლვაწლისა ეკკლესიის და მოძმეთა სასარგებლოდ ცოტა ხანი არ არის... ჩვენ გვსურდა აგვენუსხა, ნათლად დაგვეწატა მკითხველისთვის მრავალ-ნაყოფიერი მოღვაწეობა ყოვლად-სამლოდელო ალექსანდრესი, მაგრამ ჯერ ერთი—ეს მოკლე წერილში ყოვლად შეუძლებელია და მეორედ, ეს მოღვაწეობა ცოტად თუ ბევრად უკვე საკმაოდ გამორკვეულია ადგილობრივის ბეჭდვითის სიტყვის მიერ... დე ქართლის და საქართველოს შუაგულისა, კურთხეული მღვდელ-მთავარი უანგაროდ ემსახურებოდა და

ემსახურება მშობლიურს ეკულესიას თვისის მრავალ-ხნოვანის სიცოცხლის განმავლობაში... შემკული და გამსჭვალული ცხოველის სარწმუნოებით, რომელიც თვინიერ საქმეთა მკვდარ არს, ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე უხვად ჰქონდა მაღლს თვისის ქველ-მოქმედებისას საქართველოს ყოველს კუთხეში, ამერ-იმერეთში. ქართველების სასირცხვოდ იმათ თვალთ-წინ ინგრეოდა, იბლალებოდა, თითქმის ისპობოდა რამდენიმე შესანიშნავი ქართული მონასტერი, რომელნიც ძველად განათლების შუქს ჰქონდნენ საქართველოს არე-მარეს; თვით ნანგრევნი მონასტრებისანი იღუმალად გლოვობდნენ თვისს აოხრებას, უშემწეობას, უპატრონობას და თანაც თითქოს დასტიროდნენ ქართველთა გულ-გრილობას მშობლიურის სიძველების მიმართ. ჰკითხეთ დღეს წმ. შიო მღვიმელის, წმ. იოანე ზედაძნელის, წმ. ჯვარის, დავით გარეჯელის და სხვა ძველს ნაშთებს ქართულის ხუროთ-მოძღვრებისას, ვინ იზრუნა მათთვის, ვინ აღადგინა იგინი, ვინ გაანახლა იგინი ფენიჭისებრ, ვინ არ დაზოგა იმათთვის შრომა-ღვაწლი და თვისი ქონება?! ისინი გეტყვიან და მოგითხრობენ, რა ღვაწლი, რა ამაგი დასდო მათ ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ, რომელსაც სამართლიანად უწოდა ერთმა ჩვენმა ბწერალთაგანმა (ბ. ა. ნატროშვილმა) „ალექსანდრე ადმაშენებელი“... სავსებით და სისრულით ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს ღვაწლს, რომელმაც მოუპოვა მას თანაგრძნობა მთავრობისა და სიყვარული საზოგადოებისა, ახლო მომავალი დააფასებს. ხვალ ეს მღვდელ-მთავარი, შემკული დაუფასებელის ღირსებებით, ღვთისაგან და კაცთაგან დაჯილდოებული, ძლიერი სულით, ცხოველი სარწმუნოებით, მტკიცე ზნეობით, მოყვარე სიმართლისა და ჭეშმარიტებისა და მართლ-მსაჯული მოშორდება ქართლ-კახეთს, აღმოსავლეთ საქართველოს და წაბრძანდება გურია-სამეგრელოს, დასავლეთ საქართველოში.

ბევრი საქმეა გასაკეთებელი გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, ბევრი შრომა და მეცადინობა დასჭირდება მას თვისს ახალს სამწყსოში, რომელსაც ის კარგად იცნობს, რომლის

ავი და კარგი დაახლოვებით გათვალისწინებული აქვს .. გუ-  
რია-სამეგრელო საუკეთესო მარგალიტია იმ ძვირფას თვალთა-  
კრებულში, რომელსაც საქართველო ჰქვიან... ეს მხარე განა-  
თლებულია მართლ-მაღიდებლობით ძველადვე წმ. მოციქულის  
ანდრია პირველ-წოდებულის მიერ. გურია-სამეგრელოს ქარ-  
თველები ბუნებით მოყვარულნი არიან მართლ-მსაჯულებისა-  
და შეუძლიანთ დააფასონ მათ გვამი, ამით შემკული ყოვლად  
სამღვდელო ალექსანდრეს, როგორც მართლ-მსაჯულს გვამს,  
ლირსეულად დააფასებს გურია-სამეგრელო და მისი სასულიერო  
წოდება, რომელსაც, მიუხედავად მისის ნივთიერის ხელ-მო-  
კლეობისა, აქვს ფრიად სანაქებო ლირსებანი: ელტვის განა-  
თლებას, აარსებს საეკკლესიო-სამრევლო სკოლებს, იცავს  
მართლ-მაღიდებლობას და სხვ .. ყოვლად-სამღვდელო ალექსა-  
ნდრე ხელს შეუწყობს, ფრთებს შეასხავს გურია-სამეგრელოს  
სასულიერო წოდების კეთილ-შობილურ მისწრაფებათა და  
ყოვლის მხრით წინ წასწევს გურია-სამეგრელოს ქართველთა-  
საეკკლესიო ცხოვრებას... ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს  
გურია-სამეგრელოში ამ სასარგებლო მოლვაწეობის გათვალის-  
წინება გვანუგეშებს ყველას, ვისაც-კი ძვირფასად მიგვაჩნდა  
მხცოვანის მღვდელ-მთავრის სახელი, ვინც ვსასოებდით მისს  
ლოცვა-კურთხევას... ამ სარგებლობის წარმომდგენელნი სუ-  
ლით და გულით ვეთხოვებით ყოვლად-სამღვდელო ალექსა-  
ნდრეს და ვევედრებით ყოვლის-შემძლებელს ღმერთს, განა-  
გრძოს დღენი მისის ძვირფასის სიცოცხლისანი სასარგებლოდ  
საქართველოს ეკკლესიისა და ქართველის ერის.

ନେବାରୁକୁଳେଣ୍ଟ୍ସିଙ୍କୋଲ୍ଯୁଗ୍.

## ალექსანდრე ეპისკოპოსის იუგილების გამო.

როგორც მოხსენებული გვქონდა ჩვენს გაზეთში, ამ მარტის 4-ს შესრულდა 35 წელიწადი მისის უსამღვდელოესობის ალექსანდრეს ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ. ისიკა გვქონდა მოხსენებული, რომ იუბილიარის უკეთობისა გამო მისს პატივმცემელთ იუბილების გადახდა შიო-მღვიმობისათვის, 9 მაისისათვის, გადაუდვიათო. სანამ დაწვრილებით გავაცნობდეთ მკითხველებს საყვირელ მღვდელ-მთავრის ცხოვრებას, მოკლედ ალვნიშნავთ მისის ცხოვრების შესანიშნავს მომენტებს და მის მოღვაწეობას.

ალექსანდრე ეპისკოპოსი დაიბადა 1824 წელს, გორის შაზრაში. მამა მისი დავით სოფლის მღვდელი იყო. ერის კაცობაში ალექსანდრეს ალექსი ერქვა. ჯერ სწავლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში. იქიდან თფილისის სასულიერო სემინარიაში გადავიდა, სადაც სწავლა დაამთავრა 1845 წელს. სწავლის დამთავრების უმაღვე ბერად შესდგა. 1846 წელს ალექსანდრე ყაზანის სასრულიერო აკადემიაში შევიდა. აქ სწავლა დაამთავრა ლვის მეტყველების კანდიდატის ხარისხით 1850 წ., 1851 წ. დანიშნულ იქმნა თფილისის სემინარიის მასწავლებლად. იმავე წელს მისს უსამღვდელოესობას უწმიდესის ბრძანებით წილად ხვდა აფხაზეთში წასკლა და იქ საპედაგოგო ასპარეზზე მოღვაწეობა. ილორში პირველად გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი და აფხაზთა შვილებს პირველად ალექსანდრესაგან მოეფინათ სხივნი სწავლა განათლებისა. უმაღლესი მთავრობა ჯეროვანად აფასებდა მისს ლვაწლსა და მიტროპოლიტმა ისიდორემ პირადად დააჯილდოვა. ხსენებულს სასწავლებელს ალექსანდრემ ნივთიერი დახმარებაც აღმოუჩინა და სულ იმის ცდაში ბრძანდებოდა, რომ სასწავლებლის საქმე კარგად წასულიყო. გარნა დიდ ხანს არ დასკალდა ამ სკოლას ალექსანდრეს მამობრივის მზრუნველობის ქვეშ ყოფნა. რუს-ოსმალოს ომის გამო ილორის სასწავლებელი დაიკეტა და ალექსანდრე 1854 წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებ-

ლის ზედამხედველად გადმოჰყავთ. იმავე დროს ასრულებდა გელათის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობას. 1855 წელს ალექსანდრე დანიშნულ იქმნა აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრის იდუმენად. 1859 წელს აფხაზეთის ეპისკოპოსი გერმანე იმერეთის კათედრაზე გადმოიყვანეს, ხოლო ალექსანდრეს მაშინ არქიმანდრიტს, აფხაზეთის ეპარქიის მართვა მიანდეს. ეპისკოპოსად აკურთხეს აფხაზეთის კათედრაზე 1862 წ. 4-ს მარტს. აფხაზეთში ეპისკოპოსად ყოფნის დროს მისი ლვაწლი მრავალ-ფეროვანია. დაუღალავად ზრუნავს აფხაზების გაქრისტიანებას, ეკკლესიებს აახლებს, სკოლებს შემწეობას აძლევს, ერთის სიტყვით, დარაჯად უდგა ქრისტიანობას, საქართველოს ამ მივარდნილ და მივიწყებულს კუთხეში.

1882—1886 წლების განმავლობაში ალექსანდრე მართავდა გურიის ეპარქიასა. მერე დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვრად დაინიშნა. 1887 წელს დანიშნულ იქმნა შიო-მღვიმის წინამძღვრად და საქართველოს ეპარქიის ვიკარად.

გარდა ქველ-მოქმედის სახელისა, საყვარელ მწყემს-მთავარს მოპოებული აქვს სახელი ჩვენის მწერლობის გულ-წრთველ და დაუღალავის მფარველისა. მისის საფასით არის გამოცემული ესეთი განძი მწერლობისა, როგორც საბა სულხან ორბელიანის ქართული ლექსიკონი, რაფ. ერისთავის ლექსიკონი სამთა სამეფოდგან, მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, მზამეტყველება, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და სხ.

ალექსანდრე ეპისკოპოსი ახლა 73 წლისა ბრძანდება. მიუხედავად ამისა სრულს ჯანზე გრძნობს თავსა. ცხოვრებას ნამდვილს ბერულს ეწევა. წირვა-ლოცვას თავისუფლად ასრულებს. მისს მეუფებას სულ მუდამ გაშლილი აქვს თვისი უხვი ხელი ყველა გაჭირვებულ-დავრდომილთა დასახმარებლად.

საყვარელ მწყემს-მთავრის ამდენის ხნის მრავალფეროვანი მოღვაწეობა სრული თავდებია იმისი, რომ საზოგადოება ღირსეულად გადაიხდის მისს იუბილეის და თვისს თანაგრძნობას გამოუწადებს მისთვის თავდადებულს მამასა და მზრუნველს.

## ჟოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე.

შესრულდა ოცდა ხუთმეტი წელიწადი მას შემდეგ, რაც ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე ეპისკოპოსად ეკურთხა. ქართველ საზოგადოებას გულითა სურდა თვისის საყვარელის მღვდელ-მთავრის იუბილეი ედლესასწაულნა წარსულ 4 მარტს, მაგრამ ყოვლად-უსამღვდელოესმა ალექსანდრემ მაშინ თავის-უქეიფობა გვაუწყა და დღესასწაულობა 9 მაისისათვის გადავ-დეთ, რადგანაც ამ დღეს საქართველოს ეკკლესია იხსენიებს წმ. შიო მღვიმელს, რომლის სახელზედ დაარსებული მონას-ტერი ყოვლად-უსამღვდელოესმა ალექსანდრემ სრულიად განა-ახლა. ამ დღეს ყოვლად უსამღვდელოესმა ალექსანდრემ იუბილეის დღესასწაულობა კვლავ თავიდამ აიცილა და შიო მღვიმელის მონასტერიად გაემგზავრა. ამით მოგვცა კვლავ ერთი უტყუარი დამტკიცება თავისის სულის სიწყნარისა, რომელიც აო ეძებს არავითარს ხმა-მაღალ მაღლობა-მოწონებასა, არამედ სრულიად კმაყოფილია თავის კეთილ მოქმედებით და ჯილდოც მისი გხოლოდ ხორციელ და სულიერ მოძმეთა წარმატებაა, რის-თვასაც ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე შეუდარებლად იღვწის. ავასრულოთ ჩვენც მისი სურვილი, ნუ დავარღვევთ მის მყუდროებას, შორიდგან გავითვალისწინოთ ყველასაგან საყვარელი მისი სახე, დროსა და გარემოების შესადარად ხან მოცინარი, ხან მწუხარე და ხან მოტირალი, გავიხსენოთ მი-სი აუარებელი შრომა და ფასღაუდებელი ლვაწლი და გონე-ბით ამბორ ვუყოთ ყოვლად ნეტარისა კურთხეულსა მარჯვე-ნასა.

ალექსანდრე ეპისკოპოსი დაიბადა 1824 წელს; მისი ნათ-ლობის სახელი ალექსია. მისი მამა დავით ოქროპირიძე მღვდე-ლი იყო გორის მაზრაში. ალექსი ოქროპირიძემ სწავლა დაამ-თავრა ტფილისის სასულიერო სემინარიაში და მაშინვე ბერად შესდგა ალექსანდრეს სახელით. მალე მთავარ დიაკონად ეკურთხა და გაემგზავრა ყაზანს, სადაც კურსი დამთავრა და მღვდელ მონაზონად ეკურთხა. იქიდგან რომ დაბრუნდა, აფხა-

ზეთის სასულიერო სასწავლებელში დანიშნეს ზედამხედველად, მაგრამ ომის გამო ეს სასწავლებელი მაღლ დაიკეტა და მღვდელმონაზონი ალექსანდრე გადმოყვანილ იქმნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად 1854 წელს. შემდეგ წელს იღუმენად აკურთხეს, მალე არხიმანდრიტადაც და ისევ აფხაზეთში გადიყვანეს. ეპისკოპოსად აკურთხეს 1862 წელს და აფხაზეთის კათედრა ჩააბარეს. 1869 წელს გადმოყვანილ იქმნა ტფილისში საქართველოს ეპარქიის ვიკარად ჭევორის ეპისკოპოსად. 1882—1886 წლებში გურიის ეპარქიას განაგებდა და შემდეგ ისევ ქალაქს დაბრუნდა. ბევრჯერ, როდესაც საქართველოს ექსარხოსები დროებით საქართველოს განშორდებოდნენ, ქართლ-კახეთის ეპარქია ეპისკოპოსს ალექსანდრეს ჩაჰარდებოდა, ის განაგებდა საექსარხოსო საქმეებს და თავმჯდომარეობდა ქართლ-იმერეთის უწმიდესის სინოდის კანტორაში.

ყოვლად უსამღვდელოეს ალექსანდრეს მრავალ გვარს და ნაყოფიერს სამსახურს რუსეთის მთავრობა ჯეროვანად აფასებდა და თავის დროს ჯილდოსაც აძლევდა. მის მეუფებას აქვს მიღებულია წმ. ანნას ორდენი პირველის ხარისხისა და წმ. ვლადიმირის ორდენი მეორე ხარისხისა ვარსკვლავებით და ბევრიც სხვ. 15 მაისს 1893 წელს განსაკუთრებულის უმაღლესის რესკრიპტით ებოძა მისის უდიდებულესობისაგან ძვირფასის თვალ მარგალიტით შემკული პანაგია. ამას გარდა მრავალჯერ მაღლობა აქვს გამოცხადებული ხელმწიფე იმპერატორისა, მის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა, ლოცვა-კურთხევა და მაღლობა სინოდისა და სხვ.

ძნელად თუ იქნება რომელიმე ქველ-მოქმედი საზოგადოება ჩვენში, რომ ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე მხურვალე მონაწილეობას არ იღებდეს. იგი წევრია „ქრისტიანობის აღმაღვენელ საზოგადოებისა“, „წითელ ჯვრისა“, „ბრმათა სამზრუნველოსი“. „წყალში დარჩობისაგან გადამრჩე-საზოგადოებისა“, „პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა“,

„ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებათა“, „წმ.  
ანდრია“ და „ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ძმობათა“ და სხვ.

მხოლოდ ამ საზოგადოებათა მონაწილეობით როდი კმა-  
ყოფილდება ყოვლად-უსამღვდელოეს ალექსანდრეს სიუხვე  
სულისა და გულისა. ორმოცი წლის შეწირულებათა სია დიდი  
ადგილს დაიჭირს, გავიხსენოთ რამდენიმე: რეს ასმალეთის  
ყირიმის ომის დროს სევასტოპოლის გმირთა და მათ  
აოხრებულ სახლობათა სასარგებლოდ მისი მეუფება სწირავ-  
და ყოველ წლივ 200 მანათს. აფხაზეთში, ქ. სოხუმს ახლო  
ძველი ეკკლესია განაახლა მოსახსენებლად ხელმწიფე იმპერა-  
ტორის ალექსანდრე II სასწაულებრივის გადარჩენისა 4 აპრილს  
1866 წ. და 25 მაისს 1807 წ. ტფილისის სასულიერო სემი-  
ნარიას შესწირა 2,000 მანათი მის იმპერატორებითის უმაღ-  
ლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელო-  
ბაზედ, როდესაც კავკასიის მთავარ-მართებლობას თავს ანებებ-  
და. ამ თანხით ინახება სემინარიაში ერთი სტიპენდიატი, რომ-  
ლის არჩევა თვით ალექსანდრე ეპისკოპოსს აქვს მინდობილი;  
წელს სტიპენდიატად სვანი არის მიღებული. ყაზანის ოკადე-  
მიის ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ შესწირა 300 მანა-  
თი. ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელს შესწირა  
3,000 მანათი სტიპენდიების დასაარსებლად. მცხეთის ტაძ-  
რის განსაახლებლად შესწირა, 1,500 მანათი და განმაახლე-  
ბელ კომიტეტის თავ-ჯდომარედაც ითვლება. განაახლა ჯვა-  
რის ეკკლესია მცხეთის პირდაპირ მაღლა მთაზე, არაგვის პირს.  
განაახლა თავის სამშობლო სოფელში ძველი ეკკლესია, ლეპ-  
თაგან აკლებული წარსულ საუკუნოში და სხვა-და-სხვა.

არ დავიწყებია მის მეუფებას საეკკლესიო გალობა და  
ძველი მწერლობა. კარგა ხანია, რაც 2000 მანათი გადადე-  
ბულია ქართულ გალობის ნოტებზედ გადაღებისათვის; წირვა-  
ლოცვის გალობა გადაღებულიც არის ბ. იპოლიტოვ-ივანო-  
ვის მიერ, რომელიც ტფილისის მუსიკალურ სასწავლებლის  
დირექტორად იყო და ამ შრომისთვის მიიღო 500 მანათი.  
ეს ნოტები მოწონებული არის სასულიერო მთავრობის მიერ

და დღე-დღეზე შეუდგინიან ყოვლად სამლევლელო აღექსანდრეს სურვილის განხორციელებას მისი მეუფების საფასით გამოცემული წიგნები ხომ ძერტას განძია ჩვენს მწერლობაში და ზოგი ამ წიგნთაგანი არაოდეს სტამბას არ ელირსებოდა, თუ არ უხვი მარჯვენა ჩვენის სასიქადულო არქიერისა. დასახელება იმ წიგნებისა ამ უამად საჭიროდ არ მიგვაჩნია, ისეც ყველამ კარგად უწყის, მისი მეუფება მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულის დაბადების შესწორებაში და დასაბეჭდათ ჟემზადებაში. ეს შრომა სინოდისგანაც ცნობილია და მაღლობით დაჯილდოვებული 1887 წელს.

ყოველივე აღნიშნული შრომა და მეცადონეობა მისი მეუფებისა მეტად სასარგებლოა და მრავალ-მნიშვნელოვანი ქართველის ერისათვის, რომელიც სამუდამოდ დავალებულია და განცვითრებული ამოდენა ლვაწლით. მაგრამ მისი მეუფება კიდევ არ სცხრება და გულ-მოდგინედ აგვირგვინებს შიომლვიმელისა და ზედაზნის მონასტრების აღდგენა-მოწყობას. თუმცა ამ უკანასკნელ დროს მთელი თვისი არსება, სული და გული, ამ მონასტრებში ჩაუდგია მის მეუფებას, მაგრამ ამ უამად დრო და ადგილი ნებას არ გვაძლევს ეს საჭმე დაწვრილებით ვაუწყოთ ყოვლად უსამლვდელოეს ალექსანდრეს თაყვანისმცემლთ, ეხლა საკმარისია ვთქვათ, რომ მისმა მეუფებამ დიდიხანია შესწირა შიომლვიმელის მონასტერს 21,000 მანეთი ზედაზნისას—11,700. ეს თანხა შეტანილია სახელმწიფო ბანკში სამუდამოდ ხელ-უხლებლად, ხოლო სარგებელი შეიძლება მოხმარდეს მონასტერთა საჭიროებას.

ყოველივე, რაცა ვთქვით, არავისთვის ახალი არ არის. ყველამ კარგად იცის განუსაზღვრელი სიყვარული ყოვლად-უსამღვდელოეს ალექსანდრესი თავის სამშობლოისაღმი და თავგანწირული მისი მეცადინეობა თვის სულიერთა და ხორციელ მოძმეთა წრერმატებისათვის. ხოლო არის კიდევ მრავალი სხვა კეთილი საჭმე, რომელთაც საზოგადოებამდის არ მიუხსევია, რადგანაც ჩვენს ღვაწლ-მოსილს ქველური მედიმალი დაღადი არ უყვარს და ხშირად მისმა გარეუნიაზე მიმდინარეობს.

იცის, რა გასცა მარჯვენამ. გვინახვს უხვი კაცი და უფრო-  
კი გვსმენია სიუხვე მრავალთა საოცართა ქველ-მოქმედთა,  
მაგრამ ისეთი ქველ-მოქმედი კი არც გვინახავს, და არც გა-  
გვიგონია, რომ ყოველივე სულ სხვას აძლიოს და თავისთვის  
კი სველი პურიც არ ემეტებოდეს. ეს საქართველოს შვილს  
შესძლებია:

რასაც გასცემ—შენია,  
რაც არა დაკარგულია.“

შიო დავითიშვილი.

---

## სახელოვანი თანამედროვე.

(ალექსანდრე ეპისკოპოსის იუბილეის გამზ.)

დღევანდელ დღეს ქართველ საზოგადოების ყურადღება  
მიპყრობილია წმიდა შიო მღვიმელის დიდებულ ლავრისაკენ. ჩვენი ეკკლესია იქ იხსენიებს და აღიდებს თავისს ერთგულ  
წარმომადგენელს ათცამეტთა მამათაგანს, წმიდა შიოს, ხო-  
ლო ჩვენი საზოგადოება მაღლობითა და სიხარულით იგო-  
ნებს შიო მღვიმის მონასტრის წინამძღვარს, სახელოვანს  
მღვდელთ მთავარს ალექსანდრეს მისის ოც-და-თხუთმეტ წლო-  
ვან საეპისკოპოსო მოღვაწეობისათვის. საზოგადოებას ფიქ-  
რად ჰქონდა ბრწყინვალებითა და დიდებით ედლესასწაულა  
ხანგრძლივი მოღვაწეობა ჩვენის სასიქადულო მღვდელთ-მთავ-  
რისა, მაგრამ უნდა მოგეხსენებოდეთ მაღალი ზნე ამ მხელ-  
ვანის ეპისკოპოსისა: ქვეყნის „ამაოთა ამაოება“ იმის სპე-  
ციას გულს ვერ ეკარება, სააქაო „ქებათა-ქება“ და ხოტბა  
იმას სიამოვნებით ვერ ატკბობს და ეს იმტომ, რომ მისი სუ-  
ლი და გული მხოლოდ მაღალსა და ზეციურს ესწრაფის უა  
შეჰტროფის. ეპისკოპოსი ალექსანდრე ამაოდ-კი არ მოერიდა  
საიუბილეო დღესასწაულს, უმიზეზოდ როდი გამოაცხადა,  
მილოცვას და ნახვას არ ვსაჭიროებ. და ჩემის მფარველის ში-

ოს უდაბნოში მივდივარ, რათა ვევედრო, რომ მეოხე ეყოს ლვთისა წინაშე ქვეყნიერებასათ. დიაღ, საიუბილეო დღესას-წალეს განშორდა და მილოცვასა და ზეიმს ვედრება და ლოცვა ამჯობინა მრისხანე და ყრუ უდაბნოში!.. სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ეს ამბავიც საკმაოდ ნათელს ჰქონის მცხოვანის მღვდელთ-მთავარის მაღალ ზნე და ბუნებასა. ცხადია, რომ სააქაო დიდება და პატივი იმისთვის წარმავალი და წუთიერია და ჩვენის მამათ-მთავრის სიამოვნებას ქვეყნისათვის მეოხება და სავედრებელი ლოცვა შეადგენს.

ჩვენი ძველნი მღვდელთ-მთავარნი და ეპისკოპოსნი სწორედ ასეთის ზნისანი იყვნენ. იმათი ფიქრი და გრძნობა ქვეყნის დიდებას დასტრიალებდა და ამის გარეშე ყოველივე მისწრაფება და წადილი ფუჭი და ამაო იყო. იმ ნეტარ-ხევნებულ დროს ეკალესია და სამშობლო ერთი და იმავე საგანს ჰნიშნავდა, ქართველობა და ქრისტიანობა ერთსა და იმავე ცნებას წარმოადგენდა, თითოეული მონასტერი და ლავრა წმიდა და საღმთო ადგილად ითვლებოდა და ამ ადგილას გაისმოდა ლვთიური, ზეციური ლალადი სამშობლოს სიყვარულისა, მისის სიკეთისა და ბედნიერებისა. ხოლო მონასტრისა და ლავრის წინამძღვარი, მღვდელთ-მთავარი და ეპისკოპოსი პირველ მამულიშვილად იყო ალიარებული, იგი მოწინავე რაზმში იდგა, კვერთხითა და ჯვრით ებრძოდა მტერსა, ლოცვათა და ვედრებით სასოებასა და ნუგეშს ჰქონდა ქართველობასა.

სამწუხაროდ, ულმობელთა დროთა ბრუნვამ სრულიად შესცვალა საქართველოს მონასტერნი და ლავრანი. ამასთანავე თიქო დროებით განკერა და მოისპო კიდევ ის მაღალი ზნე, ის მთავარი აზრი და წმიდა გრძნობა, რომელიც სხივოსანის შარავანდელით ამკობდა ძველთა ბერთა და მონაზონთა სამშობლოს წინაშე. ბოლოს, მტერთა ძლევით, მონასტერნი და ლავრანი დაცალიერდნენ და მათნი მსახურნიც ზნითა და ქველობით; თითქო არიყოს, დაკნინდნენ. მღვიმესა და მაღაროში მოღვაწეობა თითქმის აღარავის იზიდავდა,

ხოლო თუ ვინმე ამ მოღვაწეობას ხელს კიდევ ჰქონდებდა, იგრ წარსულის ზნესა, მცნებასა და აღთქმასა სავსებით აღარ მის- დევდა. უკვე ავნიშნეთ, რომ იგი ზნე, იგი აღთქმა და მცნე- ბა ეკულესიისა და სამშობლოს ერთობისაგან მომდინარეობ- და, სარწმუნოებისა და სამეფოს კავშირს წარმოადგენდა.

ამ ძველ სამონაზნო ზნისა და მცნება-აღთქმის ბრწყ- ინვალე წარმომადგენელად დარჩა ჩვენს დროს სახელო- ვანი ეპისკოპოსი ალექსანდრე. იმისის აზრით და შეხედულო- ბით, ეკულესია და სამშობლო განუყოფელი და განუცალ- კევებელია, ეკულესიის კეთილ დღეობა ქვეყნის ბეჭნიერებაა, მონასტრებისა და ლავრის აღდგენა და აყვავება ერისა და სა- ზოგადოების წარმატება და წინ-მსვლელობაა. ამიტომ ჩვენი- თავ-მოსაწონებელი მღვდელ-მთავარი ისე სწუხს და გოდებს მონასტერთა და ლავრათა დაქცევას და დაცალიერებას და ასეთის სამაგალითო იმსწოდებით და სიბეჯითითა ცდალობს და ჰიზრუნავს იმათ განახლებისა და ოღორძინებისათვის, არც ერთს ჩვენს ახალ დროის მღვდელთ-მთავარს და ეპისკოპოსს რო მრუდლების ამ შემთხვევაში ისეთი ღვაწლი, როგორიც ყოვ- ლად სამღვდელოს ალექსანდრეს და ეს იმ მიზეზის გამო, რომ ისე ღრმად არვის აქვს გულში დანერგილი ზემოდ აღ- ნიშნული ძველი ზნე და მცნება-აღთქმა, როგორადაც იმას. ამ მხრივ ეპისკოპოსი ალექსანდრე თითქო ცალკე და მარტო სდგას და თავის თანა მედროვეთა შორის თითქოს თანასწო- რი არავინ ჰყავსო.

იმის მეოხებითა და შრომითა საქართველოს ეკულესიასა და სასულიერო წოდებას სულ სხვა დრო დაუდგა. ალექსან- დრე ეპისკოპოსმა თითქო ახალი მიმართულება შექვემდა, ახა- ლი ხანა დაარსა საეკულესიო ცხოვრებაში. ეს ახლობა ძველია. აღდგენით დაიწყო. მოგეხსენებათ, ამ საუკუნის დამდეგს დრო- თა და უამთა ვითარებამ ისეთი გავლენა იქონია: რომ ბერად აღკვეცა და მონაზონობა თითქმის უსარგებლო და უნაყოფო სამსახურად იქმნა აღიარებული. დიდებულნი მონასტერნი და ლავრანი უპატრონოდ დარჩნენ, წინად, ძველ დროს, ეს მო-

წასტერნი და ლავრანი სავსენი იყვნენ დიდის გვარისა და მა-  
ლალის შთამომავლობის წარმომადგენლებით, ხოლო ახლა  
მდაბიო წოდების კაციც-კი არა ჰქადრულობდა ბერობასა და  
მონოზნობასა. საეკკლესიო სწავლა და განათლება დაეცა და,  
რასაკვირველია, ამის გამო სარწმუნოებაც დასუსტდა, ასეთი  
დიახ სამწუხარო მდგომარეობა საჭიროებდა დიდს მხნეობას  
და ესეთი მხნეობა იტვირთა სახელოფანმა ეპისკოპოსმა ალექ-  
სანდრემ, რომელიც სიტყვითა და საქმით სულ იმას ჰქადა-  
გებდა და სკდილობდა, რომ ბერობა და მონოზნობა გა-  
ემრავლებინა ლავრა-მონასტერში და ამ გზით სარწმუნოებ-  
რივი საქმე წარემართა და წარემატნა. მართლაც და, იმისი  
ცდა და ლალადი უნაყოფოდ არ დარჩა და არა ერთი და  
ორი მონასტერი და ტაძარები განახლდა, არა ერთი  
და ორი ღვთის მოსავი ბერი და ერის მეოხე მონაზონი შეე-  
ძინა საქართველოს. რასაკვირველია, განახლებულ მონასტრებ-  
სა ტაძრებში ჯერ კიდევ არ ანათებს ლამპარი სწავლისა, რო-  
გორც ეს ძველად იყო, მაგრამ საქმე დაწყებაა. ვინც რა  
გინდა სთქვას, დაუწუნოს, თუ მოუწონოს ლვაწლნი მისნი  
—იმას-კი ვერვინ უარს ჰყობს, რომ ყოველივე ეს მისის გუ-  
ლითადის რწმენის საქმეა და ამისათვის ლირსიც პატივით  
ხსენებისა.

სახელოფანი ეპისკოპოსი მონასტერთა და ლავრათა გან-  
ახლებას არ დასჯერდა და თავისი ყურადღება სხვა საქმესაც  
მიაპყრო, იქნება უფრო მეტად საჭიროსა და უფრო მეტად  
სასარგებლოსა. როგორც ზემოდ ვთქვით, დროთა და უამთა  
ვითარებამ ერთობ სწავლა და განათლებაც შეაფერხა და  
თითქმის განსაკუდელშიაც ჩააგდო. მარტო მონასტერთა და  
ლავრათა განახლება არა კმაროდა და სარწმუნოებასაც ვერ  
აიღორძინებდა და განამტკიცებდა, უკეთუ ამ საქმეს ზედ არ  
დაერთოდა საეკკლესიო სწავლა და განათლება. მთელი ჩვე-  
ნი ძველი საეკკლესიო ისტორია იმას ჰმოწმობს, რომ ტურ-  
თა მონასტერს და ტაძარს ამშვენებდა განათლებული და გან-  
ვითარებული ეკკლესიის მსახური და მხოლოდ ამ მიზეზის გამო

ასე პბრწყინავდა მართლ-მაღიდებლობა საქართველოში. ეპისკო-  
პოსმა ალექსანდრემ; ამ ცხოველმა წარმომადგენელმა დიდებუ-  
ლის წარსულისამ, პირველადვე შეიგნო, თუ რა საჭიროა სათანა-  
დო სწავლა და განათლება ეკკლესიის მსახურისათვის და ხელი  
შეუწყო ამ დიდს საქმეს, ამ აზრით აღბეჭდა საღვთისმეტყვე-  
ლო თხზულება ანტონ კათოლიკოზისა და ქადაგებანი ამბრო-  
სი ნეკრესელისა. მაგრამ საყურადღებო და ოღანიშნავი უფ-  
რო ისაა, რომ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ სწავლა  
და განათლება საეროვნო საფუძველზედ დაამყარა და სავალ-  
დებულოდ დააწესა, რომ სასულიერო წოდების მსახურმა  
უეჭველად იცოდეს სამშობლო საეკკლესიო ისტორია. უეჭ-  
ველია, ეს სასულიერო სწავლა და განათლება, საეროვნო  
ნიადაგზედ აღმოცენილი, უფრო განძლიერდებოდა, მაგრამ-  
სამწუხაროდ, ეს საქმე მარტო სახელოვანის ქართველ მღვდელ-  
მთავრის ხელთ არ არის. საეკკლესიო გალობასაც ასეთივე  
ლვაწლი დასდო და თუ ახლა ქართველი სამწყსო ასე სტკბე-  
ბა საეკკლესიო სიმების უღერით და გალობის მომხიბლავის  
ხმით, მაღლობელნი უნდა ვიყვნეთ ჩვენის ძვირფასის ყოვ-  
ლად სამღვდელოსი, რომელსაც ჩვენი ახალი საეკკლესიო ის-  
ტორია და შთამომავლობა ყველა ამ საქვეყნო ლვაწლისათვის  
ალექსანდრე აღმაღენელს უწოდებს.

კერძო ცხოვრება და სამსახური სახელოვანის ეპისკო-  
პოსისა ცალკე წერილად არის დაბეჭდილი დღევანდელ ნო-  
მერში. ჩვენ მხოლოდ აქ აღვნიშნავთ, რომ დიალ საყურად-  
ღებო და შესანიშნავია მოციქულებრივი მოღვაწეობა ალექ-  
სანდრე ეპისკოპოსისა, რომელმაც ქრისტიანობა განავრცელა  
და განამტკიცა აფხაზეთში და ნათელი კეშმარიტებისა მოჰ-  
თინა სამშობლოს და სხვა და სხვა შორეულს კუთხეს. მისი  
მოღვაწეობა მრავალ-გვარი და მრავალ ფეროვანი იყო და ეს  
გარემოება ამტკიცებს მღვდელ-მთავრის სულისა და გულის  
სიძლიერეს და სიდიადეს. ასეთივე სიდიადითა და სიძლიერით  
აღბეჭდილია მისი ზნეობითი ბუნება და პირადი მისი ხასიათი.  
ასეთი უშიშარი და გულადი მთქმელი და მხილებელი დიდი

ხანია არა ჰუმლია ჩვენს სამშობლოს. სადაც ვისთანაც ჯერ არს იგი მხილებას არ უფთხის, რისხესა და მსჯავრს არა ჰშოგავს. ეს ჩვეულებაც ცხადად მოგვაგონებს ძველის დროის მღვდელთ-მთავარს და ეპისკოპოსს, რომელიც შეუდრკელი და შეუპოვარი მცველი იყო საეროვნო ზნეობისა და ქველობისა. დიალ, სახელოვანი მწყეს-მთავარი ალექსანდრე ცხოველი სურათია ძველ ბერ-მონაზონობისა და ღმერთმა ინებოს, რომ მისი მირონცხებული მარჯვენა კიდევ დღისანს მაღლს ჰავენდეს სამშობლოს, რომელსაც ასე ღრმად უყვარს იგი, ვითარება თავისი სახელოვანი შვილი და სასიქადულო მღვდელ-მთავარი.

### 6. ურბნელი.

#### ეპისკოპოსი ალექსანდრე

(საბიოგრაფიო წერილი)

4 მარტს ამა წლისას შესრულდა 35 წელიწადი, რაც ეპისკოპოსად იქმნა კურთხეული დიდად პატივცემული მწყე-მსთ-მთავარი ალექსანდრე, რომლის დღესასწაულიც ამ 9 მაისისათვის არის გადადებული.

ალექსანდრე ეპისკოპოსი დაიბადა 1824 წელს გორის მაზრაში და ამ უამად 73 წლისა. იგი შვილია სოფლის მღვდლის გ. დავით ოქროპირიძისა. ალექსი ოქროპირიძემ, შეასრულა რა სწავლა გორის სასულიერო სასწავლებელში, დაიწყო სწავლა თფილისის სასულიერო სემინარიაში, აქაც დაამთავრა იგი 1845 წ. და ალკვეცილ იქმნა ბერად თფილისის პირველ-ბარისხოვან ფერის-ცვალების მონასტერში და ჩარიცხულ მონასტრის ძმათა შორის. იმავე წლის 18 აგვისტოს მიეცა მთავარ-დიაკვნობა და გაიგზავნა ყაზანის სასულიერო აკადემიაში, სადაც 1846 წლიდგან 1850 წლამდე სწავლობდა ღვთის-მეტყველებასა, ფიზიკა-მათემატიკასა, სიტყვი-

ერებასა, საეკკლესიო და საზოგადო სამოქალაქო ისტორიასა და აგრეთვე ბერძნულსა, ლათინურსა, გერმანულსა, ოსმალურსა, თათრულსა და არაბულ ენებს. ამ სწავლის დროსვე, 1849 წელს 6 ოქტომბერს, იგი ხელ-დასხმულ იქმნა მღვდელმონაზონად და, 1850 წლის 9 ოქტომბერს, დამტკიცებულ ლვთის-მეტყველების კანდიდატის ხარისხში.

აკადემიაში სწავლის დამთავრების შემდეგ მამა ალექსანდრეს, ყაზანის აკადემიის გამგეობისწინადადებისათა საქართველოს ექსარხოსის განკარგულებისამებრ, თფილისის სემინარიის გამგეობამ მიანდო ამ სემინარიის დაბალს განუთვალებაში სწავლება სამღრთო წერილისა და ლათინურის ენისა, ხოლო უფროსს კლასებში ზნეობრივ ლვთის-მეტყველებისა და არქეოლოგიისა. ამ საქმეს ადგა იგი 1851 წლის 15 თებერვლიდან იმავე წლის 27 ივნისამდე. ამ მცირე ხნოვან ყოფნის შემდეგ სემინარიაში იგი უწმიდესის სინოდის ბრძანებით დაინიშნა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და იმასვე მიენდო აფხაზეთის ეპისკოპოსის მღვდელ-მსახურთა შორის მღვდელ-მონაზონობა იმავე 1851 წლის 21 სექტემბერს, თითქმის ამავე ხანს, 1851 წლის 28 ივლისიდგან 28 სექტემბრამდე, იგი დროებით ასრულებდა თანამდებობას ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორისასა და სამაზრო სასწავლებლის უფროსს განუთვილებათა მასწავლებლისას. აფხაზეთის ილორში დაარსებულ სასწავლებელთა წარმატებისათვის ისეთი გულ-მოდგინეობა გამოიჩინა, რომ პირდად მაშინდელმა საქართველოს ექსარხოსმა, მიტროპოლიტმა ისიდორემ, 1851 წლის 8 მაისს, „ნაბედრენიკით“ დაჯილდოვა, ხოლო წლის თავზედ, 1853 წლის 7 თებერვალს, მის მიერ აფხაზთა სასულიერო სასწავლებლის სასარგებლოდ გაწეულ შეწირულებისათვის, უწმიდესმა სინოდმა თავისი მადლობა გამოუკიდა.

სამნედრო გარემოებათა გამო 1854 წლიდგან აფხაზთა სასულიერო სასწავლებელი გაუქმდა და მ. ალექსანდრე ამ წლის 3 მაისს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხე-

დველისა და უფრთხო განყოფილებათა მასწავლებლის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნი და ამ თანამდებობას ასრულებდა 1855 წლის 26 იანვრამდე. ამავე დროს; 1854 წლის 9 დეკემბრიდან 1855 წლის 3 მარტამდე, იმერეთის განსვენებულ ეპისკოპოსის ევთიმეს განკარგულებით იგი დაინიშნა გაენათის პირველ-ხარისხოვან მონასტრის წინამძღვრად, 1855 წლის 30 ნოემბერს-კი ებობა აფხაზეთის საარქიეპისკოპოსის ილუმენობა.

ამავე დროს მან გამოიჩინა დიდი გულ-უხვობა ქველ-მოქმედების საქმეში და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ლარიბა და ხელ-მოკლე მოსწავლეებს ფულად დახმარება აღმოუჩინა, ხოლო წლის თავზედ, 1856 წლის თებერვალის, თვეში სევასტოპოლის დამცველ გმირთა და იმათ გალატაკებულ სახლობათა სასარგებლოდ წელწადში ოცი თუშანი შესწირა იმ დრომდე, ვიდრე ომი გასტანსო.

1856 წლის 26 თებერვალს, უწმიდესის სინოდის ბრძანებით, აფხაზეთის ეპისკოპოსის გერმანეს შიერ იგი ხელ-დასხმულ იქმნა არხიმანდრიტიდ მოსაწონ და საქებ საქუიელისა და ეკკლესიისა და მოზარდის თაობის სასარგებლო შრომისათვის. ამავე წლის 2, ოქტომბერს აფხაზეთის ეპისკოპოსი გერმანე იმერეთის კათედრაზედ გადაიყვანეს და აფხაზეთის ეპარქიას 1858 წლის იანვრის თვემდე არხიმანდრიტი ალექსანდრე განაგებდა. 1859 წლის 2 მაისს უმაღლესის სიგელით ებობა ორდენი წმ. ანნასი მესამე ხარისხისა, ხოლო 1862 წლის 4 მარტს თფილისის სიონის საკათედრო ტაძარში ხელდასხმულ იქმნა აფხაზეთის კათედრის ეპისკოპოსად.

1867 წლის 5 აგვისტოს მან განაახლა თვისის ხარჯით ძველი ტაძარი, სუხუმიდან 2 ვერსის მანძილზედ მდებარე, რისათვისაც მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ მაღლობა განუცხადა. 1868 წლის 31 მარტს გულ-მოდგინე სამსახურისა გამო ეპისკოპოსს ალექსანდრეს ებობა ორდენი წმ. ვლადიმირისა მესამე ხარისხისა. ამავე წლის 14 ივნისს პატივცემულმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ განაახლა ქ. სოხუმს

ახლო, ზღვის ნაპირას, ქვითკირის სასაფლაოს ეკკლესია, ძველი ეკკლესია ქ. სუხუმისა. 200 მან. შესწირა ილორის სახულებელს და 1878 წლის 22 თებერვალს ფული თფილისის სასულიერო სემინარიის ხასარგებლოდ.

1869 წლის 30 მაისს ყოვლად უსამღვდელოესი გერონტი მოხუცებულობისა გამო დათხოვნილ იქმნა და იმის ადგილას ქართლ-კახეთის ეპარქიის ქორეპისკოპოსად, გორის ეპისკოპოსად უმაღლესად დაინიშნა ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე და იმავე წლის 30 ოქტომბერს პატივცემულის ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით შემდგარს კომიტეტს მიენდო ქართულის დაბადების განხილვა და შესწორება.

1871 წლის 22 ოქტომბერს გულ-მოდგინე სამსახურისა და მისდა მინდობილ თანამდებობათა წარჩინებით აღსრულებისათვის ეპისკოპოს ალექსანდრეს ყოვლად უმოწყალესად ებობა ორდენი წმ. ანნასი პირველ ხარისხისა.

1878 წელს ოქტომბერს მისის უმაღლესობის კავკასიის მმართველ დიდის მთავრის მიერ იგი დამტკიცებულ იქმნა კავკასიაში მართლ-მაღიდებელ სარწმუნოების აღმაღენელ საზოგადოების სასულიერო კომიტეტს წევრად.

1882 წლის 2 აპრილს, უწმიდესის სინოდის ბრძანებით, ეპისკოპოს ალექსანდრეს დროებით მიენდო გურიის ეპარქიის მმართვა გამგეობა და ამ თანამდებობას ასრულებდა თითქმის ოთხის წლის განმავლობაში, 1886 წლის 2 მარტამდე. ჯერ ისევ 1884 წლის 8 აპრილს მუდმივ გულ-მოდგინე და სასარგებლო სამსახურისათვის და განსაკუთრებულ შრომისა გამო, რომელიც გასწია გურიის ეპარქიის მართვის დროს, ეპისკოპოს ალექსანდრე ყოვლად უმოწყალესად ებობა ორდენი წმიდისა მოციქულთ სწორის ვლადიმირისა მეორე ხარისხისა.

უწმიდესის სინოდის 1886 წლის 7 მარტის ბრძანებით მის ყოვლად უსამღვდელოესობას მიენდო დავით გარესჯის უდაბნოს გამგეობა წინამძღვრის უფლებით, ხოლო 1887 წლის 3 მარტის ბრძანებით, რაკი ყოვლად პატავცემულმა

მწყემსთ მთავარმა 21,000 მან. შესწირა შიო-მღვიმის უდაბნოს, ეს უდაბნო მონასტრის ხარიხზედ იქმნა აყვანილი და მის წინამძღვრად დაინიშნა ეპისკოპოსი ალექსანდრე.

1893 წლის 15 მაისს თვით იმპერატორ ალექსანდრე მე-III სიგელი მოუვიდა მისს ყოვლად უსამღვდელოესობას ეპისკოპოსს ალექსანდრეს, რომელშიც ნათქვამია: „ყურადღილე რა თქვენი ხანგრძლივი წარჩინებული და გულ-მოდგინე სამსახური მართლ მაღიდებელ ეკკლესიის სასარგებლოდ, გირყალობებ ამასთანავე წარმოგზავნილს ძვირფასის ქვებით მოჭედილს გულზედ დასაკიდ სამღვდელ-მთავრო ხატსაო.“

ამას გარდა აქვს ნიშანი წითელის ჯვარისა, დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა მზრუნველ საზოგადოების მთავარ-სამართველოსაგან მიღებული 1882 წლის 23 ივნისს; იგი ნამდვილი წევრია 1889 წლიდგან წყლებისაგან რუსეთის დამხსნელ საზოგადოებისა; განსაკუთრებულ ღვაწლის გაწევისათვის იმპერატრიცა მარია ალექსანდრეს ასულის სახელობაზედ დაარსებულ უსინათლოთა სამზრუნველოს საბჭოსაგან ნაბოძები აქვს გულზე სატარებლად სიკვდილამდე ოქროს ნიშანი 1896 წლის 5 იანვარს, ხოლო 1896 წლის 12 მაისს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაერცელებელმა საზოგადოებამ“ საპატიო წევრად ამოარჩია „ნიშნად პატივისცემისა იმდიდის ღვაწლისათვის, რომელიც მას მიუძღვის საქართველოს წინაშე როგორც იმითი, რომ ჰბეჭდავს წარჩინებულთა სასულიერო მწერალთა თხუზულებათ, აახლებს შესანიშნავ დანგრეულ ტაძართა და სცდილობს აღადგინოს ძველი ქართული გალობა და ამისათვის ყოველ გვარს ღონისძიებასა ჰლონობს, ისე იმითი, რომ, ხელს უწყობს საქართველოს ხალხის გონებრივს განვითარებას და თავისის ხარჯით ჰბრდის ბევრს ობოლს სხვა-და-სხვა სასწავლებელში.“

აი მოკლე, სია იმისი, როგორ უვლია სამსახურის გზაზედ ჩვენს დიდათ სისიქადულო მწყემსთ-მთავარს. მისი უხვად გაშლილი ხელი საქველ-მოქმედოდ ყველამ უწყის მთელს საქართველოში და არა ერთი და ორი ობოლი გამოზრდილა

და ეხლაც იზრდება იმისს ხარჯით. ყველამ უწყის ისიც, რომ  
მისის საფასით არის გამოკებული საბა-სულხან ორბელიანის  
ლექსიკონი, ლექსიკონი თავ. რაფაელ ერისთავისა სამთა სა-  
მეფოთაგან, ამბროსი ნეკრესელის მოძღვრებანი, მზა-შეტყვე-  
ლება, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და  
სხვანი. არავასათვის საიდუმლო არ არის, რომ მცირეოდენი  
სასყიდელი არა აქვს გამოლებული ჩვენს საერთო გულის-ტკი-  
ვილით აღსავსე მწყემსთ-მთავარს ქართველის საეკლესიო გა-  
ლობის ნოტებად დაწყობისთვისაც, რომლის განუტყვნელად,  
შეუბლალველად დაცვის მნიშვნელობა ფრიად ცხადია და გან-  
მარტება აღარა სჭირია.

ეს მრავალ გვარი, მრავალ ფეროვანი და დაულალავი  
მოღვაწეობაა მიზეზი, რომ მისი უსამღვდელოება ეპისკოპო-  
სი ალექსანდრე დიდად უყვარს მთელს საქართველოს ერს და  
ყველა დიდი, თუ პატარა, განუზომელს პატივს სცემს. ამ სა-  
ერთო მაღლობის გარდა, არა ერთისა და ორის ქართველის  
გულია აღვსილა მისის მეუფების მაღლობის იმ უხვის შემწე-  
ობისა და დახმარების გამო, რომელიც მას გაუწევია კერძოდ  
იმათთვის გაჭირვების დროს.

ამ ოც-და-თხუთმეტის წლის განმავლობაში და წინადაც  
მისი მეუფება მტკიცედ და სავსებით აღგა მცნებასა უფლისა-  
სა, — „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძი-  
მენი, და მე განგისვენო თქვე-აო. ყოვლად პატივცემული  
მეუფე ერთი იმ მწყემსთ მთავართაგანია, რომლითაც ერს,  
სულ ერთია, ქართველი იქმნება იგი, თუ სხვა, თამამად შე-  
უძლიან თავი მოიწონოს, რომ ასეთი მოჭირნახულე, ასეთი  
გულ-შემატკივარი და მრავალის სათნოებითა და ლირსებით  
აღსავსე შვილი ჰყავს!.. ერთი მწერალი ამბობს, რომ ღონე  
და ძალა, ავ-კარგიანობა ამა თუ იმ ერისა იმითი განიზომე-  
ბა, თუ რომელს უფრო მრავლად ჰყავს დიდ-ბუნებოვანნი  
კაცნიო, და მისი მეუფება ეპისკოპოსი ალექსანდრეც ერთი  
იმ დიდ-ბუნებოვანთაგანია, რომელიც თავისს ერს, თავისს

სამშობლოს მაღლსა ჰქონს და თავისის სიკუთხოთ თვით ერ-  
საც სახელს უკეთებს.

---

**ეოპლად სამდგრელო ეპისკოპოსის ალექსანდრეს  
35 წლის სამდგრელ-გთავრო სამსახურის გამო**

„ეგრედ ჭირწუინეგდინ ნათელი  
თქვენი წინაშე კაცთა, რათა ისი-  
ლნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და  
ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცა-  
თასა“. (მათე 5,15),

იმ თავითვე საქართველო იმრთი იყო ბელნიცრი, რომ  
მას განგება უგზავნიდა ისეთს მოლვაწეებს, რომელნიც თავ-  
განწირულიდ, უანგაროდ პშრომობდნენ მის საკეთილდღეოთ  
და მისის გონებითის და ზნეობითის განვითარებისთვის. მათი  
სიქველე, მაღალ-ზნეობა, მათი სარწმუნოება დღევანდვლის  
ქართველებისთვის უძვირფასე სახსოვარს შეადგენს... ამ მო-  
ლვაწეთა შორის უპირველესი ადგილი ეჭუთვნის ქართველის  
სასულიერო წოდების წარმომადგენელთა, რომელნიც სამწ-  
ყსოს მოძმენი იყვნენ ჭირსა და ლხინში... ბელნიერება და  
უბედურება სამწყსოსი მათი საკუთარი ბელნიერება და უბე-  
დურება იყო... დღეს თვალ-წინ გვეხატება სხვ-ცისკროვანი  
სახე ძველის ქართველის მღვდელ-მთავრისა, რომელსაც დაუ-  
ფასებდელი ლვაწლი მიუძლვის წინაშე სამშობლოისა და სარ-  
წმუნოებისა; და მართლ-მაღიდებლობითა სარწმუნოება ხომ  
ისეთი საუნჯე გახდა ქართველებისთვის, რომელმაც ფეხზედ  
წამოაყენა, წარმატების გზას დაიყენა, განაცხოველა და განა-  
ძლიერა მათი საზოგადოებური ცხოვრება, შეჰქმნა მათი მრა-  
ვალ-საუკუნოვანი ისტორია, მისუა და დაიცვა მათი ეროვ-  
ნული თვით არსებობა. საქართველოს ეკკლესია დიდი ყურა-  
დლებას აქცევდა მღვდელ-მთავრების ზნეობის სიწმინდეს, მათს

გონიერით განვითარებას და მათს მიმართულებას: „ეპისკო-  
პოსნი არა დირსებით შემთხვევაში პატივსა მღვდელ-მთავრობისა  
და უდირსნი ქრისტეს ჰითონისა მწერის-მთავრისანი განვჰკვეთე-  
ნით და ნაცვლად მათ და სხვანი დავადგინენით, რომელთა  
ჭავისაგან და საქმეთაგანაც აქვნდათ წამება და კეთილად გაწყრთნეს  
სორცი დამთრჩილებად სულისა. ეპისკოპოსნი სჯულისა და საღ-  
მრთოთა წიგნთა მეცნიერი გამთირჩიოდეს“ — „სწერს ძეგლის წე-  
რა“ წმ. დავით ალმაშენებლის მიერ 1103 წელს მოწვეულის  
რუის-ურბნისის კრებისა (მუხ: ა და ც). ქართველი მეფეები  
დიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ მღვდელთ-მთავრებს, დი-  
დად აფასებდნენ მათს დანიშნულებას და მოღვაწეობას, ჭირ-  
სა და ლხინში მათთან თათბირს სწევდნენ.

„შენ რას იტყვი მღვდელ-მთავარო!  
სიტყვა შენი გვიდირს ძვირად!“

ხშირად ამ სიტყვებს ეუბნებოდნენ მღვდელ-მთავრებს.

ქართველი მღვდელ-მთავარი, როგორც წარმომადგენელი  
ეკკლესიისა და სარწმუნოებისა, სხვას რას ეტყოდა ქართველ  
მეფეს და მხედარს, თუ არ შემდეგს ღრმა-აზროვანს სიტ-  
ყვებს:

„გსტიონ და გირჩეე ლეთის სახელით  
სორცი დასთმო სულისათვის,  
უკვდავება არ დაჭერგო  
წუთის სოფლის გულისათვის“.

მღვდელ-მთავარს და ხალხს შორის დამკვიდრებული იყო  
მტკიცე, შეურყეველი მამაშვილური კავშირი, დამყარებული  
სახარების მიერ ქადაგებულს უანგარო, უზომო და უსაზღვრო  
სიყვარულზედ, რომელიც, როგორც ბრძანებს წმ. მოციქუ-  
ლი პავლე, „სულ გრძელ არს და ტკბილ, არა ეძიებენ თა-  
ვისას, ყოველნი რწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ  
არა სად დავარდების“ (ა. კორინთ. თ. იგ. მუხლები: დ. ე, ზ  
და ც). მღვდელ-მთავრის სიტყვას დიადი საკეთილო გავ-  
ლენა ჰქონდა სამწყსოზედ, რომლისთვის ეს სიტყვა წმიდა-  
წმიდათას შეადგენდა... ამის მეოხებით მწიკვლი აღმოსავლე-

თის სხვა და სხვა მწვალებლობითთა სწავლათა ვერ შეეხო საღმრთო სიწმიდეს საქართველოს ეკკლესიის მართლ მაღიდებლობითის სწავლა-მოძღვრებისას, რომელსაც ეს ეკკლესია დიდის მოწიწებით ეპურობოდა, უმაგალითო სიფრთხილით იფარავდა და მუდამ ჰლალადებდა: „არა გეცრუენეთ შენ, სიწმიდით მშობელთ ჩვენთ, კათოლიკე ეკკლესიათ, და არცა განგცეთ შენ, სიქადულთ ჩვენთ, მართლ-მაღიდებლობათ... მოწამე არს ჭეშმარიტება“ („ძეგლის წერა“ რუის-ურბნის კრებისა)... მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეებში, ოდეს ქართველებს ბნელი დრო დაუდგათ, ოდეს „ლეკი, ოსი, თურქი, სპარსი, ჩერქეზი, ლლილვი, დიდო, ქისტი, ყველა ქართლის მტერი იყო“, ოდეს ქართველი ხალხი დალუპვა-გადაშენებს შავის უფსკრულის პირს იყო მიმდგარი, ქართველმა სამღვდელოებამ მღვდელ-მთავართა მეთაურობით დაიხსნა თავისი ქრისტეს მიერი სამწყსო ამ საზარელს უფსკრულში ჩავარდნისაგან და „წმიდა ჯვრით“ თამამად მიაგება მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეების დასაწყისსა. არა თუ ამ შავ-ბრელს დროს, არამედ წინადაც, მთელი სწავლა-განათლება საქართველოში სასულიერო წოდების ხელში იყო: თითოეული მღვდელ-მთავარი საღმრთო მოვალეობად სთვლიდა გაეხსნა თავისის ეპარქიის მონასტრებთან და სამრევლო ეკკლესიებთან სკოლები, რომელებშიც ქართველი ახალთაობა იღებდა საჭირო განათლებას. ის მღვდელ-მთავარი, რომელიც არ ჰქონდა სახალხო განათლებისათვის, ვერასოდეს დაიმსახურებდა მეფის და კათოლიკოსის ყურადღებას.

დღეს, როდესაც ძლევა-მოსილს რუსეთის მფარველობის ქვეშ მშვიდობა მეფობს საქართველოში, ოდეს

არდა ერჩის ქართლის გულსა კასპისა დელფინი,

არდარ ურუევს მას მოსვენებას მისი აღტეველი...

### 6. ბარათაშვილის სიტუაცია

სარწმუნოების გრძნობა ცოტა შეირყა ჩვენში... ამ გრძნობის გასაღვიძებლად განსაძლიერებლად საქართველოში ფრიად იღვაწა და იღვწის ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე, რო-

მელსაც დღეს შეუსრულდა ოცდა ხუთმეტი წელიწადი, რაც ჰმო  
ლვაწეობსსა მღვდელთ მთავრო ასპარეზზედ. ყოვლად სამღვდელო:  
ალექსანდრე რჩეულთა გვამთა რიცხვს ეკუთვნის და ასეთნი გვა-  
მნი ერთს დღესაც არ გააძლებინებენ ისე, რომ რაიმე კეთი-  
ლი საჭმე არა ჰქმნან... მათ შესისხლ-ხორცებული აქვთ, იმ

„კაცად მაშინ ხარ საქები,  
თუ ეს წესი წესად დარგე,  
უფერეს დღესა შენს თავს ჭკითხო,  
აბა მე დღეს ფის რა ფარგე?!”

(ი. ჭ.)

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე თავისს სიმარტვით,  
გულ-კეთილობით, ქრისტიანობრივის სათნოებითა და ქველ-  
მოქმედებით ძველ ქართველ მღვდელთ-მთავრებს მოგვაგო-  
ნებს. მას არ უყვარს მღვდელი ცხოვრება და კმაყოფილია  
ხმელის პურით და წვანილით; ის ცხოვრობს ნამდვილ ბერუ-  
ლად, მისი წმიდათა წმიდა— ლეთის სასოება, ლოცვა და ქველ-  
მოქმედებაა. ყოვლად უსამღვდელო ალექსანდრემ ოცდა ერ-  
თი ათასი მანეთი შესწირა წმ. შოთ მღვიმელის მონასტრის  
განახლებას, იმ მონასტრისას, რომელიც ძველი ჰყვავოდა  
და უზრდიდა საქართველოს ეკკლესიას ერდგულს მოღვაწეებს  
საეკლესიო და სამოქალაქოს. ყოვლად-სამღვდელო ალექსანდ-  
რეს სულს უწუხებს ის, რაც სულს უწუხებდა პოეტს ვ. ორ-  
ბელიანს, რომელიც საქართველოზედ ამბობს: „აქ ხშირად  
ჰპოვებ ტაძართ შთენთ დიდებულთა, პალატთ დიდებულთ  
და მონასტერთა აოხრებულთა, წმინდა საფლავი ნანგრევთ შუა  
ხშირად არიან... არ აცხოვლებენ შთენთ და საფლავთ წირ-  
ვა ცისკარი...“ ამ აზრით გამსჭვალულ ყოვლად სამღვდელო  
ალექსანდრეს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოის ძველის  
ტაძრების განახლების საჭმეში. ყოვლად სამღვდელო ალექ-  
სანდრემ დაბეჭდა თავისის საფასით რამდენიმე საყურადღებო  
და შესანიშნავი ძველი ქართული სალეთის-მეტყველო თხზუ-  
ლება, რომლესაც დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ მე-  
ცნიერებისათვის („მზა-მეტყველება ანტონ კათოლიკოსისა)...

დიდი ღვაწლი მიუძღვის ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ქართულის საეკკლესიო გალობის აღდგენის საქმეშიაც. ქართული საეკკლესიო გალობა, ეს ღვიძლი ასული ბერძნულის საეკკლესიო გალობისა, თითქმის სრულიად ისპობოდა ქართლკახეთში და ყოვლად სამღვდელომ, როგორც ერდგულმა ძემ მართლ-მადიდებელის ეკკლესიისამ, მას ხელი გაუწოდა და წარმატების გზაზედ დააყენა. ბევრს ლარიბს მოსწავლეს უმართავდა ხელს და უმართავს ყოვლად-სამღვდვლო ალექსანდრე, და აძლევდა და აძლევს სახსარს განათლების მიღებისას. ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს მიერ დაარსებულს სტიპენდიებთი სასულიერო სასწავლებლებში იზრდება დღეს რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა.

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს სისხლსა და ხორც-ში აქვს გამჯდარი იესოს მცნება ძმად სიყვარულისა. იესოს სწავლა მის სულის, მისის არსების კუთვნილებას, მის მეორე ბუნებას შეადვენს... ის არა მარტო სიტყვითაა ქრისტიანი, არამედ საქმითაც, თანახმად წმ. იაკობ მოციქულის სიტყვებისა: „ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ შორის, აჩვენენ კეთილად-სვლისაგან საქმენი თვისნი სიმშვიდითა სიბრძნისათა“ (ეპისტ. გ. იგ). ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე თავისის იშვიათის ქრისტიანობრივის სათნოებით ერთნაირად საყვარელი და ძვირფასია ყოველის ქართველისთვის. დიდისა და პატარასთვის, ქალისა და კაცისათვის. მას დიდათ აფასებდნენ საქართველოს ექსარხოსებიც, რომლებიც მისის საკეთილო მოღვაწეობის შესახებ ძლიერ კარგის აზრისანი იყვნენ. აწინდელს ექსარხოს საქართველოსას მაღალ-ყოვლად სამღვდელო ვლალიმერს ძვირფასად მიაჩნია მხცოვანი მღვდელთ-მთავარი ალექსანდრე. ერთგულის სამსახურისათვის და ნაყოფიერის მოღვაწეობისათვის. თვით ხელმწიფე იმპერატორისაგან ებობა მას ძვირფასი სამღვდელთ-მთავრო გულზედ დასაკიდი ჯვარი. განა შესაძლოა ერთის მცირე წერილით გამოვხატოდ მთელი ოც-და-თხუთმეტ წლოვანი ნაყოფიერი მოღვაწეობა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრესი, რომლის თითეული სიტ-

ყვა, თითოეული მოქმედება საკუთარის აღწერის ლიტეია... დიდს სასიქადულო მოვლენად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ქართველებს გვყავს ისეთი ქრისტიანობრივის სათნოებით და მაღალ-ზნეობით გამსჭვალული მღვდელთ-მთავარი, როგორიც ყოვლად სამღვდელო აღესანდრეა, რომლის მაგავსნი ფრიად საჭირონი არიან ჩვენს ზნეობით გახრწნილს და გათახსირებულს საუკუნეში... საქართველოს საექსარხოს საეკკლესიო ცხოვრების ისტორიაში ყოვლად-სამღვდელო აღექსანდრე შესამჩნევს ადგილს დაიკერს, როგორც მარლო-მაღიდებლობის და ქრისტიანობრივის სათნოების მოყვარე მღვდელთ-მთავარი. აწ ჩვენს მცირე წერილს-კი დავაბოლოვებთ პოეტის ვახ. ორბელიანის შემდეგის მშვენიერი სიტყვებით, რომელიც სავსებით შეეფერება ყოვლად-სამღვდელო აღექსანდრეს:

„ეაცი ის არის, ვინც არის  
ზე გარდმო მადლით ცხებული.  
მის დვაწილი მსთლიდ არს კეთილ,  
მით მსარე დამშვენებული!“

— თარი.

მუნიციპალიტეტის აღმართულების 35 წლის ეპისტოლა-  
სად კურთხევის იუბილე.

ყოვლად უსამღვდელოები აღექსანდრე 9 მაისს წმ. შიო მღვიმელის განსვენების დღეს, მწირველი ბრძანდებოდა შიო მღვიმის მონასტრის ეკკლესიაში, აქ იყვნენ მცხეთის იგუმენია მონოზნებითურთ, სასულიერო პირნი და ერის კაცნი, მასწავლებელნი—ქალნი და კაცნი, წარმომადგენელნი მწერლობისა, დეპუტაციები სხვა და-სხვა საზოგადოებისა და მრავალნი სხვა ქართველნი. შემდეგ წირვისა და პარაკლისისა მღვდელთ მოძღვარმა ყველა მლოცველნი მიიწვია სატრაპეზო თთახში, სადაც სუფრა იყო გაშლილი. აქ სტუმრებმა მიულოცეს მის მეუფებას ოც-და-თხუთმეტის წლის იუბილეი და

ისურვეს კვალად დიდის ხნის სიცოცხლე ყოვლად-უსაძლვდე-  
ლოესისა საქართველოს სასარგებლოდ. სხვათა შორის ტფი-  
ლისიდგან მიულოცა მის მეუფებას ბ-ნ შიო. დავითიშვილმა  
თავის მხრივ და გაზ „კავკაზის“ რედაკტორის ბ-ნ ველიჩ-  
კოს სახელით. ბ-ნმა ექ. ხელაძემ პატივცემულს იუბილიარს  
მიართვა აღრესი და აღუთქვა მის მეუფებას 25 მანეთი საეკ-  
კლესიო გალობის აღდგენისათვის. ბოლოს წარუდგა მის მეუ-  
ფებას მღვდ. ალ. ჯალიაშვილი, რომელმაც გორის მაზრის  
სამღვდელოების სახელით გამოუცხადა გულითადი თანაგრ-  
ძნობა და პატივისცემა მანვე გადასცა მის მეუფებას და წა-  
კითხულ იქმნა დეპეშა ბ-ნ იუია წინამდგრიშვილისა, რომე-  
ლიც თავისასა და სკოლის სახელით ულოცავდა ეკკლესიისა  
და თავის ქვეყნის სასარგებლო განვლილს წლებს. წაიკითხეს  
აღრესი და ამ დღის ქართული გაზეთები, აგრეთვე „კავკა-  
ზიც“, „რომლემაც ძლიერ ასიამოვნეს ჩვენი მხცოვანი მღვდელ-  
მთავარი.

მისმა მეუფებამ წარმოსთქვა თვისი სურვილი კვალად  
შრომისა თავისს ეკკლესიისა და ერის სასარგებლოდ და შემ-  
დეგი ახალი აღთქმა დასდო, თუ ღმერთი ხელს მომიმართავ-  
სო: 1) დაეხმაროს ქართულ გალობას და მგალობელთა გუნ-  
დის დაარსებას; 2) შეაგროვოს ძველი ხელთ-ნაწერები, რო-  
მელთაც რაიმე მნიშვნელობა აქვთ საქართველოს წარსულის  
შესასწავლად, დაარსოს წიგნით-საცავი ან შიო-მღვიმის მო-  
ნასტერში, ან ტფილის ანუ სხვა ადგილს, რომელიც უფრო  
მოსახერხებლად იქმნება ცნობილი; თუ რომ შესანიშნავ  
ხელთ-ნაწერებს უფასოდ არ დაუთმობენ პატრონები წიგნთ-  
საცავს, მაშინ მისი მეუფება სასყიდელსაც გაიღებს; 3) განა-  
ახლოს არჩილ ლუარსაბის ეკკლესია თიანეთის მაზრაში, თუმ-  
ცა ეს საქმე მის მეუფებას სათქმელათაც-კი მეტად ეძნელება.

ტრაპეზობის დროს ბერ-მონოზები სამურად გალობ-  
დნენ. ხალხი საღამდმდე არ დაიშალა, და ზოგნი კი, ქალე-  
ბიცა და კაცებიც, ლამე მონასტერში დარჩნენ.

10 მაისს, ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე ტფილისს ჩამობრძანდა.

---

### ალექსანდრე მაისების იუგილების შესახებ.

დიდათ პატივცემულის, ჩვენის უხუცესის მღვდელთ-მთავრის 35 წლის იუბილეი ეპისკოპოზის თანამდებობაზე ქართველთა საზოგადოებამ უთუოდ შესანიშნავი რითიმე უნდა აღნიშნოს თუ უნდა თავისი საყვარელი მღვდელ-მთავრის ლვაწლის და მოქმედების ღირსეულად დაფასება.

ქართული საეკკლესიო ლიტერატურა მდიდარია სხვა-და სხვა ღვთის მეტყველური თხზულებანით; ამ თხზულებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ; მათში გამოიხატება ჩვენთა წინაპართ ხასიათი, ჩვენი ერისა და ეკკლესიის მოქმედებანი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონია საქართველოს ეკკლესიას და ქართველებს მთელ საქრისტიანოში, რა ადგილი სჭრიათ ქართველებს სხვა ერთა წინმსვლელობაში.

თვითონ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ, რომელიც მოყვარულია ძველი და ახალი ქართული ლიტერატურისა, გამოსკა თავისი საფასით რავდენიმე შესანიშნივი თხზულება ქართული საეკკლესიო ლიტერატურიდგან, მაგალითებრ; „მზა-მეტყველება“ ანტონ კათოლიკოსისა, „ქართული ლექსიკონი“ საბა-სულხან ორბელიანისა და მრავალი კიდევ სხვა. ქართულ საეკკლესიო თხზულებათ გამოცემა ერთი და იმ სამ კეთილ და სიმპატიურ საქმეთაგანია, რომელთა აღსრულებაც ყოვლად სამღვდელომ იკისრა (მონასტრების განახლება, გალობის ბეჭედი და წიგნების გამოცემა.) და ასრულებს კიდეულაგრამ ერთს კაცს იმდენი არ შეუძლიან, რაც მთელს საზოგადოებას.

და აი ეხლა, როცა ქართველი საზოგადოება ემზადება ყოვლად სამღვდელოს იუბილეის სადღესასწაულოთ, კარგი იქნება, რომ ჩვენში დაარსდეს „ძმობა“ მხცოვანის იუბილი-

არის სახელზე, მისისავე თანახმობით, დახმარებით და უმაღლესი მფარველობით, რომელსაც მიზნათ უნდა ჰქონდეს ყოვლად სამღვდელოს მიერ დაწყობილი საქმის გაგრძელება, ე. ი. ქართული საეკკლესიო ლიტერატურულ თხზულებათა გამოცემა. ამ „ძმობას“ უნდა ერქვას: „ქართული საეკკლესიო თხზულებათა გამომცემელი ძმობა;“ მონაწილეობას ამ ძმობაში უნდა იღებდენ ჩვენნი განათლებულნი პირნი აკადემიის და უნივერსიტეტის სწავლით აღჭურვილნი, რომლებმაც უნდა ამოარჩიონ გამოსაცემი წიგნები; ამ „ძმობის“ მიერ გამოცემულს წიგნებს უნდა ეწეროს: „ქართველ საეკკლესიო მწერალთა ბიბლიოთექა;“ ამ „ძმობამ“ რომ წელიწადში ორი სამი წიგნი გამოსცეს, დიდი და კარგი სამსახური იქნება.

იმედია, ქართველი საზოგადოება ამ აზრს განახორციელებს, რადგანაც ეს ჯერ პატივცემული იუბილიარის მიერ დაწყობილი საქმის გაგრძელებაა და მერე ჩვენი ლიტერატურის შევსება და შემატება; გარდა ამისა ეს „ძმობა“ გააქარწლებს ზოგიერთთა აზრებს, რომლებიც ბრძანებენ, ქართველებს არა გაქვთ-რაო და იგვაცდენს შთამომავლობის სასტიკა, შაგრამ სამართლიან, საყვედურს.

მ. ფ.

### მ ი ლ ო ც ვ ა.

ალექსანდრე ეპისკოპოსის იუბილეის გამო. თქვენო ყოვლად უსამღვდელოესებავ.

ბრწყინვალეო მეუფეო, უუმოწყალესო მწყემსთ-მთავარო და მამაო ალექსანდრე.

ჰეშმარიტად ბედნიერია ის კაცი, ვინც თავის თვალით მიესწრება და დაინახავს თავისისავე ხელით ნაშრომისაგან გამოსხმულს კეთილ ნაყოფს. მეტად ბედნიერია ის კაცი, ვისაც ასე სასოებით და აღტაცებით ულოცამენ მისს შეუგინებლათ და ბედნიერად გავლილს წარსულს. რათა კვირველია,

სრული ნება აქვს იმხიარულოს იმან კაცობრიობაში, ვინც  
 ლირსეულად მიეგებება ამ გვარს შესანიშნავს ბედნიერ დღეს.  
 მე მგონია, აგეთნი ბედნიერნი ბევრნი ვერ იშობებიან, რად-  
 გან მათში უეპველად სუფევს ზეგარდამო აღბეჭდილ უმან-  
 კოების მადლი და ნიჭი. ყველასათვის ბუნების უფროსს უთუ-  
 ოდ ვერ მოუცლია, რომ ყველას მიანიჭოს ურცხვენელი  
 ცხოვრება, ყველა ჰქონას ლირსად კეთილის დანერგვისა და  
 მისვეს ლონე უზომო შრომისა და უკურთხოს ნამუშევარი  
 მისი მიცემად კეთილის ნაყოფისა. იმხიარულოს კიდევ იმან,  
 ვისაც ურიცხვ კაცთა ნათესავთა შორის, ერგება წილად ამ  
 გვარ ბედნიერ დღის დასწრება. მაში იმხიარულედ და კიდეც  
 იამაყეთ თქვენც, თქვენო მეუფებავ, რომ თქვენმა დაულალავ-  
 მა შრომამ, იმდენი კეთილი ნაყოფი მოგცათ, რომ ამდენი  
 ნაცნობ-უცნობი მიჰხარიან და წრფელის გულით გილოცა-  
 მენ და გინატრიან ხანგრძლივ სიცოცხლეს, სასარგებლოდ  
 ქვეყნისა. დღეს, სწორედ რა დღესაც მიიცვალა წმიდა ლირ-  
 სი მამა ჩვენი შიო მლვიმელი, რომლის სასაფლაოზე თქვენის  
 საკუთარის ხარჯითა და შრომით ააგეთ ძეგლად მონასტერი  
 და სრულდება შეუწყვეტლივ ლვთის მსახურება, განგებულე-  
 ბამან ლვთისაგან გარგუნათ ამ მხიარულ და შესანიშნავ  
 დღის დღესასწაული. ბევრნი მოელინა თქვენის შემწეობით  
 მომავალს ბედნიერ დღეს სწავლა განათლებით, რომლებშიაც  
 მეც მიძევს წილი. მაში მე ჯერ გაუფრჩქვნელი, ნორჩი, თე-  
 რომეტის წლის ყმაწვილიცა, სხვებთა შორის, გიბედავთ მო-  
 გილოცოთ ეს ბედნიერი დღე და შევევეღრები ღმერთს, რა-  
 თა თქვენის მადლით ღმერთმან ლირს მქნას მე, ესრედ მომე-  
 ლოცოს თქვენი ორმოც-და-ათი წლის უმანკოდ გავლილი  
 დღესასწაულიცა. მაპატივეთ ჩემი გამბედოვნება და მაკურთ-  
 ხეთ, თქვენო მეუფებავ მამავო წმიდაო ალექსანდრე.

თქვენის მეუფების სიწმიდის მსასოებელი ჰატარა შიო იჲსავა.

## 50 წ. დღესასწაული.

ალექსანდრე ეპისკოპოზის 50 წლის დღესასწაულუს გამო. მათს მეუფებას, გურია-სამეგრელოს ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზის ალექსანდრეს 50 წლის სამღვდელო ასპარეზე მოქმედების დღეს 50 ტელეგრამა მოსვლია. ტელეგრამებში გახლდათ, სხვათა შორის, კავკასიის მთავარ-სარდლის თავი გოლიცინის, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანესი, ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოზის კირიონოს, უწმიდესის სინოდის პროკურორის და ბევრიც სხვა და სხვა საპატიო პირების.

— ეპისკოპოსის წირვა. ამ დღესასწაულის პატივ საცემად, მიუხედავად დიდი წვიმისა, 13 აგვისტოს მობრძანდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე, თვისის საკათედრო იეკანოზით, კრებულით და მგალობლებით. ხოპის მონასტრის წინამძღვარს და ძმებს თავის ხელით ჩააბარა, ამას წინად მისგან შეწირული ერთი ათასი მანეთის ბილეთი მონასტრის სასარგებლოდ.

ტაძრის დღესასწაულობა, ღამის თევით თვითონ შეასრულა: არხიმანდრიტებით, დეკანოზით, მღვდელ მონაზვნებით და სხვა სამღვდელოებით, იმდენი მლოცველები იყვნენ, რომ თითქმის ორ საათს გაგრძელდა მეუფის მიერ წმ. ზეთით ხალხის კურთხევა.

მეორე დღეს 15 აგვისტოს, იმავე სამღვდელოებით შეასრულა სამღვთო ლიტურგია, გარდაიხადა ღვთის მშობლის პარაკლისი მუხლ-მოდრეკით. კათედრიდგან მხცოვანმა მღდელ-მთავარმა წარმოსთქვა საგრძნობელი დღესასწაულის შესახებ მოძღვრება და უველა შეაველრა ღვთის მშობლის შემწეობა მფარველობას და აქ მსვენარე წმიდათა ნაწილებს.

არავის არ ახსოვს, ჩვენ დროში, ამ დიდებულ ტაძრის დღეობა ეპარქიის მღვდელთ მთავრებს შეესრულებიოს. ამიტომაც ამ უმაგალითო მოქმედებამ დიდად პატივცემული მღვდელთ მთავრისამ განუსაზღვრელი სიყვარული და პატივისცემა გამოიწვია სამეგრელოს საზოგადოებისაგან.

ალექსანდრე ეპისკოპოსის იუბილეის გიმო. აგერ მოახლოვდა ის დრო, როდესაც ქართველები სიამოვნებით აპირობდნენ დღესასწაულური მილოცვა გაემართათ ჩვენის საუკეთესო მამულიშვილის, ლირსეულის სულიერის მამის, ალექსანდრე ეპისკოპოსისათვის მაგრამ, როგორც უკვე ვიცით გაეთ „ივერიაში“ მოთავსებულ მხცოვან ეპისკოპოსის პატარა წერილიდან, იგი უარსა ჰყოფს მიიღოს სადარბაზოდ მილოცვანი და მიეშურება შიო-მლვიმის მონასტრისაკენ, რომ იქ მყუდროებაში სასოებით ადიდოს უფალი და თავისი საყვარელი საქართველო შეავედროს ყოვლის შემძლებელ ღმერთს. ამით მაინცა-და-მაინც ჩვენ ქართველებმა არ უნდა ვისაფუძვლოთ, რომ ეპისკოპოსმა არ ისურვა მილოცვა და ჩვენც ნუ მიულოცავთო. სიტყვა „მილოცვა“ მარტო იმას კი არა ჰნიშნავს, რომ მივიდე, თავი დაუკრა, ხანგრძლივობა ვუსურვო, მისი გული მოვიმიდლიერო და დავბრუნდე. არა. მილოცვა ბევრ-გვარია და ჩვენც ერთ-ერთი ისეთი მილოცვა უნდა ამოგარჩიოთ, რომლითაც მართლა და გული მოხუცის მღვდელმთავრისა გავახაროდ და ამ ქვეყნად გაუხარეოს — ვასიამოვნოთ. ჩვენის აზრით, ურიგო არ იქნება, რომ ყოველმა ჩვენთაგანმა სულ მცირედი თითო აბაზი მაინც რომ გაიმოიღოს კაცის თავს, კაი ძალი ფული შესდგება. ამ ფულის დახმარებით უნდა შესდგეს მუდმივი ქართული გალობის გუნდი და იმგვარ წეს-რიგს უნდა დაადგეს ეს გუნდი, როგორც მოხსენებული იყო „ცნობის ფურცლის“ მე-122 ნომერში და უნდა დაერქვას „ალექსანდრე ეპისკოპოსის მგალობელთა გუნდი.“ ამისთანა მილოცვას ეპისკოპოსი მართებულ მილოცვად და სახსოვრად მიიღებს, რადგან თვით მხცოვანი ეპისკოპოსი დიდი მოყვარულია ქართული გალობისა. სადაც წირვაზე იგი ქართულს გალობას დაესწრება ხოლმე, მისის მეუფების სიხარულს საზღვარი აღარა აქვს და ყოველი მისი ყურადღება და თვალი მხოლოდ მგალობელთაკენ-ლა არის ხოლმე მიქცეული. მისი მშვიდი, წყნარი და კეთილი სახე სიხარულისა და სიამოვნების ღიმილით გაბრწყინდება ხოლმე. მაშ, ნუთუ ჩვენ

არ უნდა ვისიამოვნოთ და გავახაროდ მისი გული იშით, რომ  
მისს მეუფებას მოვახსენოთ: აი ფული შეკრებილი გახლავთ  
და გთხოვთ მოიწვიოდ ქართულის გალობის სპეციალურად  
მცოდნენი და დაავალოთ, რომ მგალობელთა გუნდი შეად-  
გინონ. ეჭვი არ არის, მამათ-მთავარის გული იღივსება სიხა-  
რულით, ჩვენს თხოვნას სიამოვნებით მოჰკიდებს ხელს, თვი-  
თონაც დაგვეხმარება და მერმის ამ დრომდის ისეთი მშვენი-  
ერი მგალობელთა გუნდი გვეყოლება, რომ მრავალნი მათ  
დაპირის დაპირის დაპირის გვეყოლება, ჩვენს მხცოვანს მამათ-მთავარს ვასია-  
მოვნებთ და კეთილს საქმესაც საძირკველს ჩავუყრით.

იანჭო.

როგორც მკითხველებს მოეხსენებად ყოვლად უსამლვდე-  
ლოება ეპისკოპოსმა ალექსანდრემ უმაღლესი ალაგი მიიღო  
და ტფილისიდგან გურია-სამეგრელოს ეპარქიაშია გადაყვანი-  
ლი. პატივის-მცემელნი იმისის ხანგრძლივის ჩვენის ქვეყნი-  
სათვის დიდად სასარგებლო მოღვაწეობისა სასულიერო გა-  
ნათლებასა და საქველ-მოქმედო ასპარეზზედ აპირობენ მიარ-  
თვან პატივცემულს ეპისკოპოსს სახსოვრად კვერთხი. რადგან  
მრავალმა ხალხმა, წოდების განურჩევლად, მოისურვა მონა-  
წილეობა მიიღოს ამ სახსოვარის მირთმევაში და რედაქტიას  
ბევრმა მიმართა, სად შევიტანოთ ამ საქმისათვის საჭირო ფუ-  
ლით, ამითი ვაუწყებთ ფულის შემოტანის მსურველთ, რომ  
ფულის წარმოდგენა შეუძლიანთ „ივერიის“ რედაქტიაში, სა-  
იდგანაც ბარათს მიიღებენ ფულის წარდგენისას.

სიტყვა, თქმული ყოვლად უსამლვდელოების ალექსანდ-  
რეს-მიერ. სხვათა შორის ჩვენმა მხცოვანმა მწყემთს-მთავარმა,  
გორის ეპისკოპოსმა, უსამლვდელოების ალექსანდრემ შემდე-  
გის მოკლე, მაგრამ მშვენიერის სიტყვით მიჰმართა გამომშვი-  
დებისას მაღალ-ყოვლად უსამლვდელოების ვლადიმირს:

„თქვენო მაღალ-ყოვლად-უსამლვდელოებავ, მოწყალეო

მწყემს-მთავარო! რუსეთის თვით-მყრობელმა ხელწიფე იპერა-  
 ტორმაკეთილ ინგბა გადმოხედა თქვენზე მოწყალე თვალით და-  
 ენიშნეთ თქვენ მიტროპოლიტად მოსკოვის მაღალ სამიტრო-  
 პოლიტო კათედრიზე; ამიტომ განშორებისა და გამოსალმე-  
 ბისას მოგართმევთ ჩვენ სამლელელ მთავრო კვერთხს ტფილი-  
 სის სამლელოებისა, სამოქალაქო და სამხედრო მოხელეთა  
 და თავად-აზნაურთა სახელით, და გულით ვისურვებთ თქვენ-  
 თვის ყოველგვარ სიკეთეს. ლმერთმა ინებოს, რომ თქვენ ლირ-  
 სეულად მისდიოდ მოსკოვის დიდებულ მლელელ მთავართა,  
 რუსეთის ეკკლესიის ბურჯთა, კვალს, დაწყებული დიდებულ  
 მლელელ-მთავრის, ჭკუთა და ცხოვრებით წმიდა მამის, მოს-  
 კოვის მიტროპოლიტის ფილარეტიდან, რომლის ცნობის ბედ-  
 ნიერება მე პირადად მქონდა, ვიდრე დიდებულ მწყემს-მთა-  
 ვარ განსვენებულ სერგიმდე. ამასთანავე უნდა ვთქვა, რომ  
 ჩრდილოეთის გვირგვინოსნები ამ მე-XIX საუკუნის გასულს  
 ლირს-ჰუმანიტარულ ხოლმე საქართველოს ექსარხოსთ დიდი მოწ-  
 ყალებისას, გადაჰყავთ იგინი საქართველოდან პირდაპირ სა-  
 მიტროპოლიტო ადგილებზე რუსეთში ეს იმას ნიშნავს, რომ  
 რუსეთის მონარქები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ  
 საქართველოს და ერთმორწმუნე სამართლმადიდებელო ქარ-  
 თულ ეკკლესიას,—ხოლო ეს გახლავთ ბედნიერება და დიდე-  
 ბა ლვოს-მშობლის წილხვედრილ საქართველოსათვის. ჩვენ,  
 ქართველები, ყველასავე ამას კარგად ვხედავთ და ძვირად ვა-  
 თასებთ სრულიად რუსეთის უზენაესი მთავრობის მოწყალე  
 ყურადღებას, ხოლო თქვენ, მეუფეთ, რომელმაც აგრე მაღა-  
 და შედარებით ადრე მიიღეთ თეთრი ბარტუმულა და მაღალი  
 დანიშნულება რუსეთის ძველი სატახტო ქალაქის მიტროპო-  
 ლიტისა, და რომელიც გვერდში უნდა ამოვუდგეთ მხცოვან  
 მიტროპოლიტებს, ნუ დაივიწყებთ საქართველოს, საიდანაც  
 თქვენ გილეთ უმაღლესი დანიშნულება, და გახსოვდეთ იგი  
 კეთილ ხსენებით. ხოლო ჩვენ. შვილნი საქართველოსანი ვე-  
 ვედრებით ყოვლად-შემძლებელ ლმერთს, რათა მან მოგივლი-

ნოს თქვენ მფარველი ანგელოზი და მოგანიჭოს დღეგრძელი ცხოვრება სამართლმადიდებელო ეკკლესიის სალიდებლად.

ყოვლად უსამღვდელოების ალექსანდრეს იუბილეის გა-  
მო. 9 მაისს, შიო მღვიმის მონასტერში სხვათა შორის, ბ-ნ ექვთიმე ხელაძეს მიუმართნია ეპისკოპოსის ალექსანდრესათვის შემდეგის მილოცვით:

„საქართველოს პატიოსანო მუშაკო მღვდელთ-მთავარო,  
მეუფეო ბატონო ალექსანდრე! მოგილოცავ ბრწყინვალეთ  
განვლილ 35 წლის მოღვაწეობას შენი ერისა და სამშობლოს  
საკეთილ დღეოდ მიმართულს.

ოთხს საგანს: ძველი სასულიერო მწერლობიდან შესანი-  
შნავ ხელთ ჩაწერების ბეჭედვას, საეკკლესიო ქართული ტკბი-  
ლი გალობის აღზენას, საქართველოს შესანიშნავ ტაძრები-  
სა და ძეგლების განახლებას და რაც-კი ივირფასათ მისამჩნე-  
ვია მომავალ თაობისათვის ახალ მწერალთა ნაშრომთაგან,—  
ამასაც შენის საფასით აბეჭედინებ და მით ამხნევებ ყოველ  
მუშაკს, განავრძოს თავისი შრო—იართლოსიანთა შთამოე-  
ბის განსაძლიერებლად. დიდება შენისთანა მოხუცს და ნეტ-  
რება ჩვენ, რომ ამ ჩვენს ზნეობით დაცემულს დროში კიდევ  
გხვდებით თითო-ოროლად დიდებულ მღვდელთ-მთავრებს ქვეყ-  
ნისათვის მაშვრალთ მწყემსებრ მზრუნველო.

მშვიდო და პატიოსანო მეუფეო! ამ შენთვის და ჩვენ-  
თვის შესანიშნავ დღის სახსოვრად და გასაუკვდავებლათ, შე,  
ჩემის მხრით, შევსწირავ 25 შანაუს განზრახულ ქართულ მუღ-  
მივი გუნდის დაარსების ფონდისათვის და ვიმედოვნებ, რომ  
ამ დიად საქმეს, ჩვენი ეროვნების სიმტკიცისათვის უსაჭირო-  
ეს საგანს, ყოველი ქართველი მიაქცევს ყურადღებას და,  
უსათუოდ, გამოილებს მისთვის თავისს წვლილს.

ალექსანდრე ეპისკოპოსის 35 წლის იუბილეი შესრულე-  
ბული გუშინ, 4 მარტს. ამ დღის შესაფერი დღესასწაული  
ყოვლად უსამღვდელოების მწყემსთ-მთავარისა მისს პატივის-  
მცემელთ გადაუჯვიათ, მხკოვან იუბილიარი უქეიფობისა გა-  
მო, 9 მაისისათვის, შიო მღვიმელის ხსენების დღეს.

## შოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსისაგან წარმოთქმული მოკლე სიტყვები.

ერთ შეძლებულ მიცვალებულის დასაფლავების დროს  
ეს სიტყვა სთქვა. (ლ. მ.)

განსვენებული ყოვლისტრით სრული იყო, მღვთისაგან,  
კაცისაგან დაჯილდოვებული. იყო დიდი შეძლების პატრონი,  
დიდი ქანების, დიდი სახელიც ჰქონდა, მისი უბედურება  
ერთი ის იყო, რომ მას თავის ქვეყნის და ერის წინაშე კი  
მცირედ ეჭირა თვალი. ქართველთ გაჭირებას არ აქცევდა  
ყურადღებას. მაში ვინატრებ, რომ ლმერთმა ამას ცხონება და-  
უმკვიდროს, სასუფეველი მღვთისა და სხვა მის მსგავსთ  
კაცთა აშოროს ასეთ გულ-გრილობა საქართველოს და ქარ-  
თველის ერის წინაშე. ლმერთმა გაცხონოს; ამინ.

### 03. ქმრესელიძეს დასაცლავებაზე.

საკვირველია ჩვენი ქართველების საქმე, ჩვენისთანა ახი-  
რებული ხალხი, არ ვიცი თუ კიდევ იქმნება საჯმე? — ცოც-  
ხალს — მშიერი ვკლავთ და როცა მოკვდება, მაშინ კი ვგლო-  
ვობთ. ბატონებო! დროა გავიხილოთ თვალები, შევიგნოთ  
ჩვენი მოვალეობა. ვუშველოთ ჩვენს თავს, ჩვენს ერს საქმე  
ვუკეთოთ, მარტო წერა, ბეჭდვა და ლაპარაკი არ კმარა. აი,  
ბატონებო, მე ერთი ბერი ვარ, მაგრამ რამდენამე ბავშვა  
ვზღი. ეს მთელმა ქვეყანამ იცის. ჩემო ანტონ! (ფურცელა-  
ძე) აქ რომ გამომჭიმიხართ, საქმე ეს კი არ არი და მარტოთ  
წერა, წადით აქედამ, იქით აქეთ მიდექით, მოდექით და ქარ-  
თველთ შეძლებულებთ დაავალეთ საწყალი ქართველ ხალხის  
პატრონობა, მფარველობა და ქომაგობა, თორემ ლმერთს გე-  
ფიცებით დავიღუბებით, აღვიგვებით; ასე, ბატონებო, ვისაც  
რით შეგიძლიანთ, იმით ემსახურეთ თქვენს ქვეყანას. მუხრან  
ბატონს დაატანეთ ძალა, რომ გახსნას თავის სკივრი და საწ-  
ყლებს უშველოს. ლმერთმა გაცხონოს ძმავა ივანე და საუ-

კუნო სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმან ღმერთმან. შენ გაზარადე ი. ჭავჭავაძე, აკაკი, ან. ფურცელიძე მრავალიც სხვანი. „ცისკარიც“ შენ გამოეცი პირველად და სხვაც ბევრი საქმეები აკეთე.

\* \*

ერთს მიცვალებულს მიასვენებდენ ქუჩაზედ, ამ ქუჩაზედ გასვენებას არ უშვებდენ. ეპისკოპოსს სთხოვეს, რომ ასე ნუ წახვალო. მან მიუგო შემდეგი სიტყვა:

მე ბერი ვარ, ყველგან მშვიდობას და სიმართლეს უნდა ვემსახურო. მე ჭირისუფლებმა მომიწვიეს, რათა გავასვენო მიცვალებული. ჩემი ვალი მარტოდ გასვენება გახლავსთ და არა ქუჩების არჩევა. მე მოვალე ვარ, რომ საითაც ჭირისუფალნი წავლენ მეც იქით უნდა წავყვე, ჩემი საქმე არ არის ესა, ამას არც საეკკლესიო კანონი გვიბრძანებს, ნაცვლად მის ასეთ სა ქმედში გარევას გვიკრძალავს. ეს ჩემი საქმე არ არის, არამედ ჭირისუფლების. ჭირისუფლებს უთხარით, რომ ისე წაიღონ თავიანთი მიცვალებული და მეც იქით გავყვები, თუ არა და მე აქ რა შუაში ვარ, რომ ძალას მატანთ, ასე წადით და არა ისეო.

იოტება 1893 წ.

### ნიკოლოზ ბარათაშვილის მაღალსვენიაზე.

არ გიცნობდი და ახლა, როცა ვხედავ ამდენს წარმომადგენლებს და ამდენ პატივისმცემლებს, დიდისა და პატარისაგან, ქალისა და კაცისაგან მხოლოდ ახლა შევიგენ შენი დიდი მნიშვნელობა, ჩვენში პოეტები ბევრნი ყოფილან, დავსწრებივარ იმათ დასაფლავებაზედაც. გრიგოლ ორბელიანისა, ალექსანდრე ჭავჭავაძეზე და სხვანი. მაგრამ ამისთანა პატივს, როგორც დიდ-გვარიშვილებს, მიღალ ხარისხოვან კაცებს და არა განსაკუთრებით, როგორც პოეტს. აქ მე ჩემის თვალით ვნახე. ხალხმა რომ შენი ნაშთის წინაშე თავი მოიდრიკა და მუხ-

ლი მოიყარა, ქალებს რომ თავზედ ედგა შენი კუბო და ისე მიჰქონდათ. შავისა და კასპის ზღვის პირებიდგანაც ბევრი მოვიდა შენს დასაფლავებაზედ დასასწრებათ. ასეთი განუსაზღვრელი სიყვარული, აგრე თვალსაჩინოდ, ჯერ არავის რვებია წილად, ჩვეულებრივად პოეტები დამღერიან სიყვარულს და ბუნებას, შენ კი საგნად შენის პოეზიისა აღირჩიე ერის მწუხარება, მისი გულის ტკივილი.

გაზ. „გვალი“

## უოვლად უსამღვდელოეს ალექსანდრეს თავის მოქმედების დროს ბევრჯერ წარმოუთქვამს მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვები. მისი სიტყვები უოველთვის ბრწყინვადნენ ნათელის გრძნობებით და ქრისტიანულის ჭეშმარიტებით. ქადაგებაში უოვლად-სამღვდელო ჭეშმარიტი მოციქულია, მხილველი ყველასი და ყოველგან. მათმა მეუფებამ იცის მოკლე სიტყვების წარმოთქმა, მაგრამ მასთანვე მარტივათ და მკაფიოთ. მისი სიტყვები რომ შეიკრიბოს ერთად და დაისტამბოს, იგი არ იქმნება უმნიშვნელო. ჩვენი სამქადაგებლო მწერლობის ასპარეზზედ შესამჩნევს მნიშვნელობას დაიკავებს. ოთხი პატარა ქადაგება ჩვენ აქ მხოლოდ ნიმუშათ მოვიყვანეთ. უეჭველია მკითხველი აქედამიაც კარგად მიხვდება უსამღვდელოესის მანვილ გონიერებას და განსჭვრეტას სამქადაგებლო სიტყვიერების ასპარეზზედ. მის მეუფებას, ერთხელ ერთ ალაგას სიტყვის წარმოთქმის დროს შევხვდი, სიტყვა შეეხებოდა უოვლად სამღვდელოს გრიგოლ ეპისკოპოსის შრომას, ლვაწლს და ქადაგებას, სიტყვა—ანუ ქადაგება ძრიელ მოკლე გახლდათ, მაგრამ მარტივად და მშვენივრად ხატავდა გრიგოლ ეპისკოპოსის პატივსაცემ ლირსებას და შრომას. მთლიათ

კი ვერ მოვიგონებ ამ სიტყვას და ერთ ადგილს კი მოვიყვან, რომელიც დღესაც მახსოვს კარგად:

„ყოვლად უსამღვდელოესი გრიგოლი ქართველებში უპირველეს მღვდელ მთავრათ უნდა ჩაითვალოს, იგი არს დიდათ ნაშრომი, ჩვენის ქვეყნის და ერის გულშემატკივარი. მისი ქადაგებანი ყოველთვის ბრწყინავდენ და ჩემს ყურს დღესაც ახსოვს მისი მაღლიანი სიტყვები. იგი დიდი ოჯახის შვილი ბრძანდება—დადიანების. ჩვენ, ქართველთ, ასეთ გვარის მღვდელ მთავარნი პატივით უნდა გვყვანდეს დაჯილდოვებული. მაგრამ ხშირათ ფასი არ ვიცით. ღმერთმა აცოცხლოს ყოვლად სამღვდელო გრიგოლი. მისი მამულის შვილობა არ მოგვაკლოს ღმერთმა და მის სამშობლოში კიდევ გაგვაგონს მშვენიერის ენით ძვირფასი ქართული ქადაგებანი. ღმერთმა მშვიდობით ამყოფოს და ჯანით და ღონით ფეხზედ დააყენოს.“

## 50 წლის დღესასწაულის გამო.

ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრეს მნიშვნელობა ქართველ შესმენილ საზოგადოების გარეშე მდაბალთაც კარგათ შეიტყეს, ყველა მათგანი შესაფერად აფასებს და საქმეც ეს გახლავთ და ყოვლად სამღვდელოს მაღალი მნიშვნელობა, რომ თვით მდაბიოთ განათლებულნიც კი სცნობენ მას და აფასებენ მის მამული შვილობას, მის შრომას და მოქმედებას, ამისთვის სახალხო მელექსენი ლექსებსაც უძლვნიან. მაგალითად მე აქ მოვიყვან ორ ლექსს, რომელნიც ცხადათ ასაბუთებენ ჩვენს მოსაზრებას.

ეს ლექსი ეკუთვნის თფილისის ქართველ მოქალაქე დავით გაბრუაშვილს, რომელიც ლექსებსაც სწერს და მისი ლექსები ცალკე წიგნათაც არის გამოცემული.

\* \* \*

ტანჯულსა\*) მხარეს სადიდებელიად  
შენ დაებადე ბრძენი და ქველი.  
მოძმისა შემწე დაუვიწყარად  
და დავრდომილთა მხსნელი-მფარველი.

—  
შენის ბრწყინვალე ქველმოქმედებით  
დღეს მედიდურებს ქართველი ერი,  
აქ ემოწმება თვით დიდი მცხეთა,  
შიო მღვიმე და სხვა მონასტერი.

—  
არას იშურვებ შენ გულ ქველობით  
მათ ხალხთა შორის წინ წასაწევად,  
უცხო უცხოსა სწავლისთვის მებრძოლს  
შენის მარჯვენით ნუზრი ეძლევა.

—  
და ამ მრავალთა საქმეთა შორის  
მარტოკა ერთი ეწევი ჭაპანს,  
თუმცა მოხუცდი, მაგრამ მამაცად  
შენსა მამულსა შენ ურწევ აკვანს.

—  
თუმც მაგ აკვანმა შიგ მწოლიარე,  
ჯერეთ პატარა, ებრძვის ატარებს  
წამოიზრდება, ვით განთიადი,  
თავის ქვეყანას გულს აუსვავებს.

—  
შენსა მაგალითს, გულსა დაისხავს,  
მოძმეს შეიტკბობს და შენ მოგბაძავს,  
და ჯერეთ ნორჩი აყვავებული  
თავის მამულსა თავსა შესწირავს.

---

\*) ტანჯული—შეეხება ოსმალთა მფლობელობის დროს.

მტერსა მედგრადა გაუმკლავდება.  
 არ შეაშინებს ზათქი და ზარი,  
 ის მზა იქნება, მიწას დასთხიოს,  
 ვით მოციქულმა სისხლისა ღვარი.

---

მამა პაპათა ნანგრევთა ნაშთებს  
 იგიც შენებრივ წრფელად აღადგენს,  
 და გაუქმებულს ერთხელ ბრწყინვალეს  
 ძველებურადა ფეხზედ დაადგენს.

---

ვინატრი ყოვლად ჩვენს ერთა შორის,  
 ბევრი გყოლოდეს შენ მიმბაძავი,  
 რომ გაგვიკაფონ გზა ეკლიანი...  
 გაგვიადვილოს ძნელი სავლელი.

---

მარად კეთილის აზრით გამსჭვალულს  
 გისურვებთ იყო მარად დღე-გრძელი.  
 და ამიერით უკუნისამდე  
 ქართველთ გულიდამ ამოუშლელი.

დაუით გაბრუაშვილი.

---

## 50 წლის დღესასწაულის გამო.

უძლენი უფლად უსამღვდელოეს ალექსანდრეს.

დიდათ დიდება თქვენს მოლვაწებას,  
 სიწმიდისაგან ზეცით ცხებულო,  
 გამნათლებელო ქართველ ერისა,  
 განგებისაებრ მოვლინებულო.

---

თქვენ აღგვიდგინეთ ძველი წარსულის  
 მტრისგან დაშლილი წმიდათა სარო,  
 და თქვენის უხვის გულმობიერით  
 შიგ ჩაუდგინეთ ცრემლების წყარო.

თქვენგნით დაჰკვენესა სიწმიდის კვესშა  
და განანათა ყოველი კუთხე,  
მით დაგვანახე შრომა მრავალი,  
რომ დაგემსგავსა ვით რომ სამოთხე.

—  
კურთხეულ იყოს თქვენი ნაშრომნი,  
თქვენი ღვაწლი და თქვენი შრომანი,  
რომ ქართველობამ ყოველ? კუთხიდან,  
ქებით მოგიძლვნან მდაბალთ სალამი.

გიორგი ნანაძაშვილი.

ყოვლად სამლენი ალექსანდრე ეპისკოპოსზედ ბევრს  
მელექსეს აქვს ლექსი მიძლვნილი და დაწერილი, ყველა  
ამ ლექსებს ოდესაში დავსტამბავთ.

### სიტყვა 50 დღესასწაულის გამო.

წარმოთქმული ქ. ფოთს, გურია სამეგრელოს ყოვლად  
სამლენი ალექსანდრე ეპისკოპოსის 50 წლის სამლენი  
მოქმედო ასპარეზე დამსახურის გამო.

ყველა ქართველთაგან ულრმესად პატივცემულო მამაო  
მლენი-მთავარო!

იმ დროს, როდესაც ქართველთ წარჩინებულთ უმრავ-  
ლესობა თავის ყვავილოვან ხანას მანლოდ ჩვენს დაღუპვის  
მოქმედებაში ატარებს, როდესაც მათ ერთი გროვის გამეტე-  
ბაც-კი ეძნელებათ ჩვენის დაქვეითებულის ტომის საქმეებთა  
სასარგებლოდ, აი სწორეთ ამ დროს, თქვენი მეუფება სდგას  
წმინდის მამულის შვილობით აღვსილი, ქართველი შეუძლო  
ერის სიყვარულით და დახმარებით მიუბაძავი, მაგალითი ყვე-  
ლასი, უშარველი ყველაფრის და ყველგან ოლონდ-კი ამით

ჩვენის ტომის ძეთა განკაცებას, განვითარებას და განათლებას რამე შეემატოს.

ჩემისთანა უძლურების შესხმა და ქება თქვენს მეუფებას არაფერს შემატებს, ჩვენი ქება თქვენ არ გჭირიათ. თვით თქვენი წრფელი მღვდელ-მთავრული მოქმედება, დაუღალავი შრომა წინაშე ქართველის ერისა და საზოგადო საქმეებისა ნათელს გფენთ, თქვენგან დაწყობილმა და უმაგალითო საქმეებმა გლაღადეს ქართველთ წინაშე. როგორც მღვდელ-მთავარი თქვენა ბრძანდებით სუფთა მოქალაქე. მოქალაქობა და ეკკლესიური გამგეობა მართვა ერთად არს გადაკავშირებული და ორივეს-კი საყოველთაოდ წმინდა მამულის შვილობა უძევს სარჩულად. ასეთი მაგალითები ჩვენი ცხოვრების ასპარეზედ იშვიათია თვით ერის კაცთა შორისაც.

თქვენგან დაწყობილმა კეთილმა საქმეებმა და თავ-გამოდებულმა ჭეშმარიტ სამსახურმა, მაღალმა ზნეობამ და ერის სიყვარულმა ყველა ქართველის გულში თქვენი სახელი ბრწყინვალედ დანერგეს. ეს დანარგვი ქართველის გულში მტკიცეთ ჩაიქსოვა, ქართველის ერის წინაშე თქვენი სამსახური განათლების სასარგებლოთ ცხად იქმნა, ამიტომ ქართველთა საერთოდ თქვენ „ქართველთა მამა“ გიწოდეს. ამ საუკუნეში, ქართველთ ერის წინაშე არც ერთს ქართველთ შღვდელ-მთავარს არ დაუმსახურებია ასეთი სახელ წოდება. თქვენ პირველი ბრძანდებით, თქვენი საუკეთესო მამულის შვილობა დიდს ზეგავლენას ახდენს საერთოდ ყველა ქართველზედ, როგორც ერზედ, ისევე ბერზედ, დიდებულზედ და მცირებულზედ, ყოველი ჩვენთაგანი ნატვრით შემოგყურებსთ, ყველა თქვენი სამაგალითო საქმეების მიმბაბავი ხდება. ყველა თქვენს მცნებას ინერგავს გულში, ყველა თქვენ გვარ კაცთ მოყვარეობას მისდევს, დავრდომილის ქომაგობას, უძლურის ფეხზედ დაყენებას და კაცად კაცობას, რითაც უხვად ბრძანდებით თქვენ დაჯილდოებული.

მაშ ვინატრებთ სულით და გულით, რომ ჩვენის ტომის სადიდებლათ ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, მოქცეთ დიდი

მხნეობა, ჯანის სისალე და ჩვენი ტომის უძლურნიც ფეხზედ დადგნენ, რომ მის საშუალებით თქვენი ხსოვნაც საშვილი-შვილოთ გარდავცეთ, ამ გარდანაცემს საყოველთაო სახსოვ-რად დავტოვებთ.

დიახ, დაშთება და გარდავცემთ მით უფრო, რადგანაც ჩვენ ქართველთა მეტად ბნელი დღეები განვლეთ, მაცხოვრის სწავლის მფარველობისთვის ვეწამეთ თვით მისებრ. ცალ ხელ-ში ჯვარი გვეკავა, ცალში ხმალი და დღე და ლამ არ ვისვენებ-დით და ასეთის წამებით ვინახავდით ჩვენს ერსა და ქვეყანას, ჩვენთან აზიაში მუსულმანებმა დაამხეს მრავალი სამეფოები, ჩვენზე ბევრად წინეთ და თითქმის ძველადვე დაეცა ურუ-მიის ქალდეა, 700 წლის წინეთ არმენია, მას მიჰყეა ბიზან-ტია და ეს აყვავებული იმპერია მოისპო და განადგურდა-მცრის ხელით. დაეცა თვით არაბისტანი, დაეცნენ სლავიან-თა ტომნი: ჩერნოვორია, დალმაცია, რუმინია, ბოსონია, ბოლგარია, სერებია, ალბანია, ამათ დამამხობელნი კინალამ იტალიას და ავსტრიასაც ეცნენ, კინალამ ესენიც აიკლეს! ამ-დენ სამეფოებთა დამამხობელ ბარბოროს მუსულმანობას აზი-აში მხოლოდ ქართველი ერი გაუმკლავდა, ქართველთ აღმარ-თეს მათ წინააღმდეგ მკლავი და ამ წინააღმდეგობით მუსულ-მანებს 500 წლამდის ებრძოლეს, თუმცა ამ ბრძოლით ნახევარ ქართველობაზედ მეტი გათათრდა, თუმცა მეტად დიდი რიც-ხვიც უცხო შორეულს ადგილებში იქმნა გარდასახლებულნი, მაგრამ რა გაეწყობა, მაღლობა ღმერთს, რომ ან აქამდის მო-ვალწიეთ, სხვა ტომნი ბევრად ჩვენზედ უწინ მოისპნენ, ჩვენ კი როგორც იქმნა თავი შევინახეთ, მეფობა და ამ გამგეო-ბით სავსენი არც სხვა ჩვენს მეზობლებს ვაკლებდით მფარ-ველობას და პატრიონობას. უკანასკელ-კი, რაკი მაჰმადიანებ-მა უფრო ოსტატურად იწყეს დევნა, ეს ქართველთ ვერ მო-ითმინეს და 1801 წ. ბევრის თათბირის შემდეგ რუსეთის იმ-პერიას ჩაბარდენ.

მაგრამ მაღლობა ღმერთს, რაკი ჩვენ განვლეთ ისეთი შავი და ბნელი დღეები, ისეთი ჭირნი და ბრძოლანი, რაც

კი საშუალო საუკუნეებში ვნახეთ და ავიტანეთ, რაც მა-  
შინ ვეწვალეთ, ვეტანჯეთ და მის მეოხებით კი მაინც არ  
შოგისპენით, იმედია, რომ დღეს, ამ მშვიდობიან დროს, რო-  
ცა მოსვენებით ვიმყოფებით, როცა განათლების ასპარეზედ  
გამოვედით, გავიგეთ ევროპიულის განათლების გემო. მოკ-  
ლე დროის განმავლობაში მოსვენებულმა ქართველმა ყველა  
მეცნიერებაში დიდი ენერგია და შნო გამოიჩინა, ჩვენგან  
ბერი ზესამჩნევნი კაცნი დაიბადნენ. აქ ჩვენთვის მხოლოდ  
საჭიროა ქართველთა მფარველნი, ნივთიერად დამხმარენი და  
გზის მაჩვენებელი. ასეთ პირად ჩვენ მიგვაჩინია თქვენი მეუ-  
ფება, თქვენი მამულის-შვილური მოქმედება. ჩვენ სრული იმე-  
დი გვაქვს, რომ ამ შვილობიან დროში მყოფნი ქართველნი  
ბევრ ნაირის საქმეებით წავალთ წინ, განათლებით დავწინა-  
ურდებით, ვაჭრობით, საერთოს მეცალინეობით და მოქალა-  
ქობით, მხოლოდ ამისთვის გუვანდნენ თქვენ ვვარნი პატრო-  
ნნი, წამქეზებელნი და გულ-შემტკიფარი პირნი.

მაშ ვინატრებ კვალად თქვენ სიცოცხლეს და იმ ნატ-  
ვრის ალსრულებას, რომ ქართველთ შორის თქვენმა მეუფე-  
ბამ ბევრი რამ საყურადღებო და სანაქებო საქმეებს მოესწ-  
როს, დიღხანს იცოცხლეთ და ამ სიცოცხლის მეოხებით  
უანგაროთ და უმაგალითოდ ემსახუროთ საქართველოს ერს,  
საქართველოს უძველეს საქრისტიანო ეკკლესიას. და მის  
ტახტს. ასეთ მფარველთ და ქომაგ მღვდელმთავრებს საქარ-  
თველო და მისი ეკკლესიის ისტორიული ღირსება აუცილებ-  
ლივ ითხოვს, რაღაც ქართველი ერის წამების ცნობები  
ამ ტაძრების კედლებზეა წარწერილი.

მაშ ვინატრებ კვალად თქვენს მამულის შვილობით ალ-  
ვსილს მხნეობას, ძლიერებას და კარგად ბრძანებას. ღმერთმა  
კარგად გამყოფოთ, მშვიდობით და დღეგრძელობით, მრავალთ  
ქართველთა გულში აღანთოდ ზნეობრივ სიმტკიცე, კაცთა  
შორის სიყვარული და სათნოება, რაც მაცხოვრის სწავლი-  
დამაც მკაფიოთ გამოისჭრიტება. ამ სათნოების სამთელი  
თქვენა ბრძანდებით და მაშ ანათეთ ჩვენ შორის თქვენის

სხივით და გვამხნევეთ კეთილის მამულის შვილობით. ბატონებო! ვინატროდ ჩვენის „ქართველთა მამის“ კარგად ბრძანება, წარმატება და ქართველთ წინაშე სამსახური.

თქვენ რაც გვემსახურეთ იმითიც ბედნიერი ბრძანდებით, იმითიც ლვაწლ-დებული. დამსახურებული და პატივცემული, თქვენი მოღვაწეობა მრავლ ნაირია და მრავალ ფეროვანი და ამ სიღიადეს ოქროპირივით ანათებს ის ამაგი და აღმზდელური შრომა, რომ თქვენ ჩვენს სამშობლო ქვეყანას გამოუზარდეთ ისეთი წარჩინებული, ჰეშმარიტი და სიმართლის მოყვარე მღვდელთა-მთავარი, როგორიც ბრძანდება ყოვლად სამღდელო ლეონიდი. თქვენი შრომა ამ მხრითაც სანატრ-სანაქებოა და მიტომ უფრო ვინატრებთ თქვენის მეუფების დღეგრძელობას. ღმერთმა გვიცოცხლოს თქვენი სუფთა ცხოვრებით აღვსილი გვამი და მით ერთი ათადაც გამსახუროთ თქვენის ერის და ეკკლესიის წინაშე „ქართველთა მამაო ალექსანდრე!“

ზ. ჭ.

## პოვლად-უსამღვდელოების ეპისკოპოსის 50 წლის დღე-საცალების გამო

### ს ი ტ უ გ ე ბ ი :

ფოთის საკრებულო ტაძრის დეკანოზის გრიგოლ მაჭარაშვილის სიტყვა.

დიდათ პატივცემულო ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე! მთელი ფოთის საკრებულო ქმანი და მამანი გილოცავთ 50 წლის სამღვდელმოქმედო ასპარეზზედ მოღვაწეობისათვის. ღმერთსა ვთხოვთ და შევავედრებთ თქვენს კარგად ბრძანებას და მტკიცედ სამსახურს წინაშე საქართველოს ერისა და ეკკლესიისა. გვენატრება კვალად თქვენი კარგად ბრძანება და დღეგრძელობა რათა მით ემსახურო თქვენი ერის ეკკლე-

სიას. ღმერთმა დიდხანს მშვიდობით გამყოფოთ და გაცოცხლოთ. მთელი ფოთის კრებული ნატვრით ღმერთს ავედრებს თქვენს მშვიდობას და წმინდა სამსახურს. ნიშნად ჩვენის პატივისცემისა მოგვირთმევია ეს ხატი. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ და გამსახუროდ მშვიდობით.

---

### ეძიმის მიმართულის სიტყვა.

ყოვლად უსამდვდელოესო ალექსანდრე! როგორც საუკეთესო და ერდგულს მსახურს ეკულესიისას, როგორც პატიოსან მდვდელ-მთავარს ქართველთა, დიდის სიხარულით და სრულის პატივისცემით გილოცავთ თქვენს 50 წლის საეკულესიო ასპარეზზედ სამსახურს. ვისურვებთ კვალად თქვენს კარგად ბრძანებას, რითაც იმედია თქვენს ერთა და ეკულესიასც დიდის ერდგულებით ემსახურებით. ღმერთსა ვთხოვთ თქვენს კარგათ ბრძანებას. კულანდებურის სიყვარულით სამსახურს. ღმერთმა გაცოცხლოთ. ბევრი კეთილი საქმე გაგიკეთებია და იმედია, რომ თქვენი მეუფება ჯერ კიდევ ბევრს კეთილ საქმეების ნაყოფს დასთესა.

\* \* \*

მკურნალისმ მიქაბერიძეს სიტყვის შემდეგ მრავალთ მიმართეს ყოვლად-სამდვდელოს კარგის სიტყვებით. ყოველს სიტყვაში ალინიშნებოდა ყოვლად-სამდვდელოს პატივისცემა და ქება და დიდება. ყოვლად სამდვდელოს დღესასწაულის გამოტელებრამები მოუვიდა მოსკოვის, პეტერბურგის და კიევის მიტროპოლიტებისაგან. სხვა და სხვა უმაღლეს სასულიერო და საერო პირთაგან. ფოთის საზოგადოებამ და სამდვდელოებამ სრული პატივისცემა იგო და თავაზი. დეკანოზის გრიგოლ მაქარაშვილის სახლში სადილი გაუმართეს, სადილმა კარგახანს გასტანა და ყველა ნასიამოვნები დაშთა ყოვლად სამდვდელოს დღესასწაულის გამო.

ყოვლად-სამლელო ნასიამოვნი დაშთა და სთქვა შემ-  
დეგი სიტყვა:

გმადლობთ ყველას, ვინც-კი პატივი მეცით სიტყვით და  
საქმით, ვმადლობთ იმათაც, ვინც ტელეგრამებით და წერი-  
ლებით მომმართეს და მომილოცეს. მენატრება და ვევედრე-  
ბი ღმერთს, რათა რუსეთის დრდებულის ხელმწიფის ხელში  
მყოფი ქართველთ, მიეცეთ მშვიდობიანი ცხოვრება, ერთმა-  
ნერდის სიყვარული და ერთგული სამსახური მეფისა, ქვეყნი-  
სა და ერისა. ღმერთმა გაკურთხოთ, მეც დამასწროს ღმერთ-  
მა, რომ ჩვენს ქვეყანაში სხვათა ქართველთ მოლვაწე და მწე-  
რალთა დღესასწაულსაც დავესწრა. მადლობას გიძლვნით ყვე-  
ლას.

ყოვლად-უსამლელო ესის გურია-სამეგრელოს ეპის-  
ტოკოსის გამოთხვება სამლელო ეპისტოლა და სამლ-  
ელოსთან.

(„ივერია“ 103 №, 1898 წ.)

როგორც ვუწყით, უპატივცემულესი გორის ეპისკოპოსი,  
ყოვლად-უსამლელოესი ალექსანდრე გარდაყვანილ იქმნა  
გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოზად, ხოლო მისს ად-  
გილას დაინიშნა ახლად ეპისკოპოსად ხელდასხმული მ. ლეო-  
ნიდე. კვირას, 17 მაის, სიონის საკრებულო საკათედრო  
ტაძარში ტფილისის სამლელოება და ქართველი სამწყსო  
გამოეთხოვა ჩვენს მხურვანს ეპისკოპოსს და პარაკლისიც იქმ-  
ნა გარდახდილი მისის ფოთში გამგზავრების გამო. მწირვე-  
ლად ბრძანდებოდა ეპისკოპოსი ლეონიდე მთელის ქალაქის  
სამლელოების თანამწირველობით.

წირვისა და პარაკლისის გარდახდის შემდეგ, რომლის  
დროსაც მრავალუამიერ იყო თქმული ეპისკოპოსის ალექსან-  
დრეს სადღეგრძელოდ, თვით ყოვლად უსამლელოესი ალექ-

სანდრე გამობრძანდა საკურთხეველიდამ მანტიით, და საშუალება გადასწერა პირსჯვარი სიონის ტაძარში მრავლად დამსწრე ქართველ სამწყსოს. აქვე სიონის საკრებულო ტაძრის კანდელაკმა მღვდელმა ანტონ თოთებაძემ ტფილისის ქალაქის სამღვდელოების სახელით შემდეგი სიტყვა სთქვა რუსულს ენაზედ.

უმაღლესის ნების თანახმად, ამ დღეზე კან ყოვლად უსამღვდელოებო მეუფეო, მოგეცათ უფრო უდიდესი ალგილი სამღლელ-მთავროდ. სწორედ ვნ წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მწყემს მთავრის ხარისხში მოღვაწეობთ მშობელის ქართლის ეკკლესიის სასარგებლოდ და ამ ხნის განმავლობაში საქართველოს საექსარხოსოს სამწყსოში ისეთი ჩინებული და ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგით, რომელსაც ვერ შემუსრავს ვერავითარი ძალა მტრისა. აქ ტფილისის სამღვდელოება და სასულიერო უწყებაში მოსამსახურენი, რომელნიც უახლოესნი მოწმენი თქვენის მწყემსთ-მთავრულის მოღვაწეობისა, გშორდებიან რა დღეს სიყვარულით მოაქცივენ ყურადღებას თვისსა, მართლ მაღილებრივ მწყემსთა შორის თქვენს ნათელსა და ბრწვინვალეს სახესა ზედა. მთელი თქვენი ძალ-ღონე სიყრმიდგან მოხუცებამდე მონდობილ იქმნა მშობელს ეკკლესიას, რომელიც მხურვალედ გიყვარდათ, ხოლო ეხლა არც დროა და არც ადგილი ჩამოვთვალოდ ყველა თქვენი მწყემს-მთავრული ღვაწლი ეკკლესიის სამშობლოს სასარგებლოდ, მოვიხსენებთ მხოლოდ იმას, რომ მოწმენიც ვართ ყველა აქ მყოფნი. მხურვალე მონაწილეობას იღებდი „დაბადების“ ქართულს ენაზედ გამოცემის საქმეში, ღრმად იყავი რა დარწმუნებული, რომ ყოველი ჭეშმარიტი საფუძველი კეთილის ზნეობისა ქრისტიანეს შეუძლიან შეიყვაროს ძმა, მუდმივ ცხოვების წიგნიდგან, იტყოდით რა, რომ დაბადების შემდეგ, ერის უმთავრესი მასწავლებელი მართლ-მაღილებელ ქრისტიანებრივ მღვთის მსახურებაა, კეთილ კრძალულებითა და კეთილ გარდახდილი. მშობლიურს ენაზედ.—თქვენ ბევრი ზრუნვა მეცადინეობა და ქონებრივი საშუალება შესწირეთ რათა

ქართველ საეკკლესიო საგალობელთა სამშობლო ხმა არ და-  
კარგულიყო ერის ხსოვნაში, არამედ დასტაბულიყო და და-  
ცულიყო მთლად და შეუცვლელად შემდეგთა მოდგმათათვის.

„გიყვარდეთ რა საეკკლესიო მწიგნობრობა, ძველთა  
ქართულ საეკკლესიო ლიტერატურის.“

„თქვენი რუდუნი არა მოკლებია ქართველთ მართლ-მა-  
დიდებლობას ძველთა სახსოვართა ტაძრებს და მონასტრებს,  
რომელნიც თქვენი მწყემსთ-მთავრული ზრუნვა აკვნდა, რწმუ-  
ნებულ არს ნათელი ყურადღება მიაქციეთ ახალ თაობის სა-  
სულიერო განათლებასა, რისთვისაც ვაჟთა და ქალთა სასუ-  
ლიერო სასწავლებელში სტიპენდიები დაარსეთ და დიდ ძალა-  
ფონდს სწირავდით, თქვენმა ამგვარმა ზრუნვამ, რათა მოზარდ  
თაობა სარწმუნოებას და ეკკლესიის აზრისამებრ ყოფილიყო  
ადზრდილი, თავი იჩინა აფხაზეთშიაც, სადაც თქვენს მცირე  
საშუალებით მთელს ოცს წელს ინახავდით და თქვენვე მას-  
წავლებლობდით ბავშვებს.

„ყოველს ამ გარეგანს გაფართოებას თქვენის მწყემსთა-  
მფარველს მოღვაწეობისას აციკროვნებს თქვენი პიროვნება,  
და ღრმად განსცვალული ქრისტიანობრივის ყოველ სათნო  
თვისებითა რასაც ჩვენს გულში აღორძინებს სიყვარულსა და  
ერდგულებას თქვენს მიმართ.

„ტფილისის სამღვდელოება და სასულიერო წოდებაში  
და უწყებაში მოსამსახურენი, დიდათ აფასებენ რა თქვენი სა-  
ნაყოფიერებასა, ხანგრძლივ მწყემსთ-მთავრულ მოღვაწეობასა-  
ეკკლესიისა და სამშობლოს საკეთილ-დღეოთ, მოგილოცვენ,  
კეთილო მწყემსო, ახალს თანამდებობაზედ დანიშნვასა და ევე-  
დრებიან უზენაესსა რათა მოწამეცა, ყოვლად მოწყალეს, არა  
მოაკლოდ თვისი წყალობა მრავალსა და კვლავ მრავალს  
წელს გურია-სამეგრელოს ეპარქიაში თქვენის ახალს სამსა-  
ხურსა ასპარესა ზედა.“

წარვედ მეუფეო, ახალსა სამწყსოში, რომელიც გან-  
საკუთრებულის სიყვარულითა და მოუთმენელობით მიგელის  
და რომელსაც დიდათ და დიდათ სკირია შენი მამობრივი

ზრუნვა, ლანგარო შრომა და თვით შენი თავიც, ვითაარცა სახარების მოძღვრებათა აღმსარებელს. წარვედ ახლის ძალოვნებითა და მხნეობითა, ვინაიდგან იქ სამკაულ ფრიად არს, ხოლო მუშავნი ყოვლად მცირე.

„ლოცვათა შინა ჩვენთა მოსაგონებლად და სახსრად მიიღეთ თქვენი უსამლვდელოესებავო, აქ, ტუილისის სამლვდელოებისაგან და სასულიერო უწყებაში მყოფ მოსამსახურეთაგან ესე ხატი ივერიის მლოცვის-მშობლისა, რომილიც ყოველთვის იყო, არის და იქნება მფარველი თქვენი ყოველს ძნელსა მწყემსთ-მთავრულს სამსახურსა შინა.“

ხატის მირთმევის შემდეგ გულმობიერმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ რუსულადვე მადლობა გარდაუხადა და სთხოვა ერთგულნი იყავით სარწმუნოებისა, გიყვარდეთ ლმერთი, ხემწიფე და ეკკლესია ემორჩილებოდეთ უფროსთა თქვენთაო. ამ დროს ბევრს ცრემლები წარსკდათ როგორც სამლვდელოს ისევე საერთს კაცთა, იმდენი ხალხი შემოეხვია საყვარელს მწყემსთ-მთავარს და დიდის სიყვარულითა და სასოებითა გამოეთხოვნენ ხელზედ, კალთებზედ და იგიც გულ-მხურვალედ აკურთხებდა თვისთა სულიერთა შვილთა.

შემდეგ ქართველის საზ-გადოების სხვა და სხვა დაწესებულებათა და უურნალ გაზეთების წარმომადგენლები შეიკრიბნენ თვით ყოვლად-უსამლდელოესის სადგომში, სიონის ეზოშივე, სხვათა შორის იყვნენ კავალერიის გენერალი თავადი ი. გ. ამილახვარი. პატივცემული ვენერალი კ. მამაცა-შვილი. და მრავალიც სხვანი. აქ ქართველმა საზოგადოებამ მის მეუფებას ოქროში დაფერილი ვერცხლის კვერთხი მიართვა და ილია ჭავჭავაძემ შემდეგი სიტყვით მიმართა.

## ილია ჭავჭავაძის სიტყვა.

„თქვენო ყოვლად უსამღვდელოესებავ! მე ვმედავ თქვენს წინაშე ხმის ამოღებას დღევანდელ დღეს არა იმისთვის, რომ თქვენ ჩემს ქება დიდებას საჭიროებდეთ. თქვენი საქმენი, თქვენი ღვაწლ-მოსილი სიცოცხლე ჩემხედ უკეთესად ჰქონდება თქვენს ქებასა და დიდებას და ჩემი თქმა რას მიუმატებს თქვენს სათნოებით მოპოებულს სახელს.“

„ნამეტანობაში ნუ ჩამომართმევთ და გულით წმიდით ვიტყვი, რომ სჩანს ღმერთს კიდევ არ დავვიწყებივართ, რადგანაც თქვენისთანა სათნოებიან კაცს მოუვლენს ხოლმე ჩვენს ქვეყანას და რაკი თქვენისთანაებსა ვხედავთ, გულს კვლავ ერჩის წუთი სოფლისაგან ლონე მიხდილი სასოება და წუთი სოფლისაგანვე გამოჭრილი იმედები უკეთესის დღეებისა. უღონოება ქვეყნისა მარტო უფულობაა და უქონლობა კი არ არის, როგორც ეხლა ბევრსა ჰგონია, არამედ ისა, როცა სათნოებიანი, კეთილ მომქმედი, მაღალ ზნეობის კაცი არა ჰყავს, სიმაგრე ქვეყნისას, ქვეყნის იალ-ლონე, ერის შემნახველი და გამადიდებელი, ქვით-კირი ადამიანის ცხოვრებისა მარტო სათნოებაა და მარტო სასოებანი კაცი ქმნის ამ წუთი სოფელს ტაძრად, სადაც ღმერთს ადიდებენ და სამოთხედ, რაცა ბეღნიერება ადამიანისას ასულდგმულებს.“

„თქვენის ცხოვრების წმიდათა-წმიდად ორი დიდი საგანია: ერთი ღმერთი და მეორე თქვენი სამშობლო ქვეყანა. ღმერთს მღრთისას აძლევდით და ქვეყანას ქვეყნისას და ორსავ ემსახურებოდით ერთმანეთს დაუკლისად გულ-მხურვალებით და სიყვარულით. ერთი წუთიც არ ვიცით თქვენის სიცოცხლისა, რომ ცხოველ-მყოფელი შუქი, ამ ორკეცს სიყვარულისა არ მოჰყენდეს თვითოულს თქვენს საქმეს. აქ თვითოეულს თქვენს მოქმედებას, ქვეყანას ემსახურებოდით, მღვრთისათვის ღმერთს ადიდებდით ქვეყნისათვის, რაღაც ღმერთი არს სიყვარული და სიყვარული მხსენელია ქვეყნისა. „თქვენი სიცოცხლე მთელი და განუწყვეტელი სათნო-

ებაა, სათნოება რომლის მაგალითს მარტო იმ მადლით ცხებულს მღვდელ-მონოზნების შორის ვპოულობთ, რომელნიც ერთ დროს ყოფილან ჩვენში, ჩვენდა საუბედუროდ ეხლა აღარ არიან, თქვენ ხორცი დაუმორჩილედ სულს და ერთი უდიდესი სათნოებაც ეს არის. გშიოდათ არ სჭამდით, გწყუროდათ და არ სვამდით, გციოდათ და არ თბებოდით იმისთვის კი არა, რომ ვითაარ(კა ანგარმა და ძუნწმა ოქრო და ვერცხლი მოახვეჭოთ, არამედ იმისთვისა, რომ რაც საკუთრად თქვენის თავისთვის არ გემეტებოდათ, რასაც თქვენს თავს აკლებდით, ის სხვას შეჰმატეთ, სამადლოდ, საქვეყნოდ გაეცით, თქვენს სამშობლოს მოახმარეთ, მართალი უთქვამს, ვინც სთქვა, რომ ორ ნაირი სათნოებაა ქვეყანაზე აღამიანის ლირსების აღმნიშნიშვნელი. ერთი უქმი, რომელსაც მისდევს არა ქმნა ბოროტისა, მეორე მომქმედი, რომელსაც მოსდევს ქმნა კეთილისა. პირველ მაგდენი—ვერაფერი ლვაწლია... სადიდებელი კაცისა, მეორე მომქმედი, რომელსაც მოსდევს ქმნა კეთილისა, პირველი მაგდენი ვერაფერი ლვაწლია, სადიდებელი კაცისა, მეორე სათნოებაა და ამისთინა სათნოების პატრონი თქვენა ბრძანდებით.“

„თქვენ აღგვიდგინე ჩვენი დავიწყებული წმინდანი შიო მღვიმელი და იოანნე ზედაძნელი. სხვამ რაც უნდა სთქვას და ჩემის ფიქრით კი კაცი ის არის, ვისაც გულითადი რწმენა რისამე აქვს ქვეყნის საკეთილ დღეოთ მის მიერ აღიარებული და იმ რწმენას ემსახურება თავ-დადებით, თქვენ გწამთ რომ აღამიანის მხსნელი, მისი ხელ-თ-მძღვანელი და განმწმენდელ მისი სჯული და სარწმუნოებაა“ და ამ გზაზედ ლვაწლმოსილობისათვის არა დაგიზოვიათ რა. ამისდა მოწმად თქვენ მიერ იღდგენილი მონასტრებია, ეს ნაშთნი ჩვენის სულიერად ზე აღსრულებისა. აქ მეტია თვითონეულის თქვენის ლვაწლის ჩამოთვლა და მარტო ამას ვიტყვი, რომ თქვენი მადლით ცხებული მარჯვენა ყველგან მიგიწვდენიათ, საცა კი თქვენის ქვეყნის, თქვენის ერის საკეთილდღეოდ საქმე რამ აჩენია, არ არის არც ერთი საერო საქველ-მოქმედო საქმე ქართველ-

თა რომ თქვენი უხვი წვლილი არ ერიოს, თქვენი ლოცვა კურთხევა—წინ არ მიუძღვოდეს, თავს არ დასტრიიალებდეს.

„მარტოდ ისიც საკმარისია თქვენის მაღლობის ხსენებისათვის, რომ თქვენის მეოხებით, თქვენის ღვაწლით, თქვენის მამობრულის სიყვარულით გამოუზარდეთ ჩვენს ქვეყანას იმისთანა შვილი, როგორიც ახლად ნაკურთხი ეპისკოპოსი ლეონიდეა. ჩვენ კაცებით ღარიბნი ვართ და ჩვენთვის თქვენგან გაზრდილი—თქვენის მაგალითიდ გაწვრთვნელი, თქვენის ხელისა და გულის თანამოზიარე განძია, ჩვენ შევხარით ჩვენს ახალს ეპისკოპოსს სასოფტით და იმედითა, იმიტომ რომ თქვენი—გაზრდილია, თქვენი სულიერი შვილია, და ყოველი მზგავსი მზგავსა იშობსო, ნათქვამია.“

„თქვენ გაზრდილს დიდი ეკლიანი გზა უძევს წინ, თუ სიყვარულს ქვეყნისას თქვენებრ წინ წაიძლეანებს და მსახურება მისი მსახურება იქმნება ქვეყნისა. ეს გზა გზაა საკუთარის თავის გაწირვისა, წამებისა, ნამეტნავად ჩვენში, რაც უმაღურება და კილვა ისე ხშირია, როგორც არსალ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენი გაზრდილი, თქვენი გაწრთვნილი არა ეკალს არ შეუშინდება და თქვენს მაგიერობას გაგვიწევს. მაგიერობას მეთქი!.. მოგვიტევეთ, გული კაცისა ხარბია! თქვენი ბედი გვენატრება. ნუ თუ თქვენ თითონ არ ინებებდით, რომ თქვენი გაზრდილისაგან მეტი მოითხოვოთ, მეტი მოველოდინოთ. თქვენ მამა ხართ და ეგ თქვენი შვილია და რადგანაც ის გვირჩევნია მეტი მოველოდინოთ. „ის ურჩევნია მამულსა რომ უვილი სჯობდეს მამასაო.“ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ თვითონ ჩვენზედ უფრო მეტის ნატვრით ინატრებდი, რომ თქვენი გაზრდილი თქვენ დაგეჯობინოთ ჯერ ლვოით და მერე თქვენისავე კურთხევითა.“

ამისი და ამ ჩვენის კადინიერების რწმენის თავმდები და საწყალი თქვენი მამაშვილ-რი სიყვარული, რომლის წინაშე ქვედა იხრის ყოველივე სხვა პირის გრძნობა პატიოსანი კაცისა. ჩვენ მართლადა საყვარელო და ღირს სახსოვარო მღვდელ მთავარო! თქვენ აქედამ მიბრძანდებით, მაგრამ

მღვთის მადლით ჩვენის ქვეყნიდამ კი არა. აქაც ჩვენი ქვეყანაა და ჩვენი ერია, ჩვენი ძმები არიან, ჩვენ აქ გიახელით სამგზამშვიდობორო მოგახსენოთ და თქვენს წინაშე ლმერთს ვთხოვოთ თქვენი დღეგრძელობა და თქვენგან ლოცვა კურთხევა მივიღოთ. მოგვირთმევია მცირე-ოდენი ძლვენი ესე ჩვენდა სახსოვრად კი არა, ჩვენ უამისოთაც გეხსომებით მთელ საქართველოსთან ერთად, რადგანაც შვილნი ყართ საქართველოსი, რომელსაც დღეთა თქვენთა სწირავთ უორგულობითა და სიყვარულითა... მიიღე ნიშანი ჩვენი გულითადის მადლობითა და ულრმესის პატივისცემას და გიხაროდენ, რომ შენის ქვეყნის შვილნი მოიწიფენ იმოდენად, რომ შეძლებისამებრ მადლობას უხდიან მადლობის ლირს კაცს. გიხაროდენ იმიტომ, რომ ესეც ერთი ფეხის წინ წალგმაა, ერთს საფეხურით ზე აღსვლაა თქვენის შვილებისა, რადგანაც მარტო ბრმამ და უკეთურმა არ იცის სხვის სიკეთის დანახვა, სხვისი ღვაწლის დაფასება.

თქვენ მიბრძანდებით ჩვენგან და ვწუხვართ, რომ ჩვენ გვშორდები, მაგრამ ჩვენთა იმერ ძმათა სიყვარული ანელებს ჩვენს მწუხარებას და გვამხნევებს ჩვენ. ჩვენგან მეტის მეტი გულ-ძვირობა იქმნებოდა, რომ ეს ასე არ იყოს. ჩვენ ვწუხვართ თქვენი წასვლით და გვიხარიან თქვენი იქ მისვლა, ჩვენ გვაკვლდებით და ღვთის მადლით, იქ შეგვემატებით, ყველგან ჩვენს ქვეყანაში საჭიროა ამისთანა კაცი, რომლის მიხედვით და მაგალითით იწურთნება ხასიათი, იწმინდება გონება და გული აღამიანისა. უხაროდეთ მათ, სადაც თქვენ მიღიართ, და ჩვენ ეს არ გვშურს, რადგანაც იქაც ჩვენები არიან. თუნდ ესეც არ იყოს, თქვენი ცხოვრება სათნოების სკოლაა ჩვენთვის და ამიტომაც მარტო ერთი ხსენება თქვენის სახელისა ჩვენი მწვრთვნელია. ოჟ, რა ბედნიერია იგი, კაცი რომელიც გვწრვთნის და გვასწავებს ჩვენ არაშც თუ ჩვენთან ყოფნით, არამედ მარტო თავისი სახელის ხსენებითაცა, ამბობს ნატვრით ერთი ძველი ბრძენი. ამისთანა ბედნიერი ხართ თქვენ. საცა გინდა ბრძანდებოდეთ. იყვენით

329

კვლავაც ესე ბედნიერი ჩვენდა თავმოსაწონებლათ და ნუ მო-  
აკლებთ თქვენს ლოცვა კურთხევას თქვენს ლვაწლს, თქვენს  
საყვვრელს ქიეყანას, ერს. თქვენს სიყვარულს თქვენი საყვა-  
რელი ქვეყანა, საცა გინდა ბრძანდებოდეთ, არ დაივიწყებს.  
ადიდე კვერთხი ესე, და წარიყვანე ერი შენი გზასა სიმარ-  
თლისა და სარწმუნოებისასა.

„დაგვლოცე და შენის მადლიანი ხელით გვაკურთხე შე-  
ნი მადლობელნი და შენ მიერ ლვაწლ-დებულნი.“

მისმა მეუფებამ, მადლობა გარდაუხადა რა, სთქვა, რომ  
წმიდათ დაიცავით სარწმუნოება, არ უღალატოთ თქვენთა  
სახელოვანთა მანა-პაპათა ანდერძს, რომელთა შორის მრავალ-  
მა მეფემ, თავად-აზნაურმა და მდამიომ დაიდგა საწამეპრივი  
ჯვირგინი სარწმუნოებისათვისაო. ზნეობით ფაქიზნი იყავით,  
ოჯახი წმიდათ შეინიხეთო. მე თუმცა შორს ვიქნები თქვენ-  
გან, მაგრამ გულითა და სულით არ დავივიწყებ ჩემს ძველს  
სამწყსოს და ვილოცებ მისის წარმატებისთვისაო.

ამ სიტყვათა წარმოთქმას დროსაც ბევრს ამოუჯდა გუ-  
ლი და ცრემლით გამოეთხოვნენ საყვარელ მწყემსთ-მთავარს.

კვერთხი გამოწერილია ქართველ სამწყსოს მიერ მოს-  
კოვიდან და მეტად ძვირფასის, იშვიათის ნაკეთებისაა, მთე-  
ლის კვერთხის ბუშტები საგანგებო ხელოვნების მინანქრითა  
და სევადით არის დამშვენებული. კვერთხს თან დართული  
აქვს პერანგი და ზედ აწერია, „ადიდე კვერთხი ესე და წა-  
რიყვანე ერი შენი გზასა სიმართლისასა. 15 მაისი 1899 წლი-  
სა.“ კვერთხის ბუდის თავზე ამოჭრილია ქართულად ასო  
„ა“, რომელსაც თავზე სამღვდელ-მთავრო მიტრა აქვს გაკე-  
თებული.

გუშინ, ორშაბათს, 18 მაისს, მისი უსამღვდელოესობა  
გაემგზავრა ფოთისკენ. რკინის გზის სადგურამდე დიდ-ძალმა  
ქართველობამ მიაკილა საყვარელი მწყემსთ-მთავარი, მრავალთ  
შორის ეპისკოპოსი ლეონიდე გორამდე გაჰყვნენ.

ବ. ୫୦୫୦୬୧୯

ମେଟର୍ ତୁମିନଙ୍ଗିଲ୍ ଶ୍ରୀ, ସାତଳା ୩୦ ନଂ.

---

ମନମହାଦେବଭୂଲିଙ୍ଗ ପାଶବ୍ରତିଲାତ

ଲୁହନିଦି, ମେହରେତିଲ୍ ଗତିଶ୍ୱରପାତ୍ର. ମେଟର୍ ପାତ୍ର,  
ଶ୍ରୀଶ୍ରୀଭୂଲିଙ୍ଗ.

---

ଫାର୍ମ ୨୦ ପାତ୍ର

---